

გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო
უნივერსიტეტი



2018 წლის ანგარიში

დამტკიცებულია:

აკადემიური საბჭოს დადგენილება (ოქმი N1.06.02.2019)



გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტი

2018 წლის სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში

შესავალი

2018 წლის სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგის მიზნით დამტკიცდა მონიტორინგის ჯგუფი (ბრძანება N01-01/100. 27.ნოემბერი, 2018), რომლის შემადგენლობაში შედიოდნენ: ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, ზიზნესისა და სოციალური მეცნიერების ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, სამართლის ფაკულტეტის სამსახურის უფროსი, რექტორის აპარატის უფროსი, საბიუჯეტო-საფინანსო სამსახურის უფროსი, სტუდენტი, დამსაქმებელი. მონიტორინგის ჯგუფმა ანგარიში მოამზადა დოკუმენტით: „სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგი“ განსაზღვრული პროცედურების დაცვით.

მონიტორინგის ჯგუფის მიერ შედგა სამუშაო გეგმა, რომლის თანახმად სამუშაო პერიოდი დაიყო 4 კვირად და განაწილდა პასუხისმგებლობები ჯგუფის წევრთა შორის, კერძოდ:

განსახორციელებელი სამუშაოები	პასუხისმგებელი	2019			
		I კვირა	II კვირა	III კვირა	IV კვირა
ინფორმაციის შეგროვება (ფორმალური და არაფორმალური ფორმატი)	ვ.ხუჭუა				
პრიორიტეტების განსაზღვრა შეფასებისთვის	ჯგუფი	<input checked="" type="checkbox"/>			
სტრუქტურული ერთეულების ანგარიშები, სტატისტიკა	ს.თევდორაძე	<input checked="" type="checkbox"/>			
დოკუმენტები		<input checked="" type="checkbox"/>			
გამოკითხვა/ინტერვიუ		<input checked="" type="checkbox"/>			
ინფორმაციის დამუშავება	ვ.ხუჭუა				
სტრუქტურული ერთეულების ანგარიშები, სტატისტიკა	ნ.ბოჭორიშვილი, ლ.ჩაგელიშვილი აგლაძე		<input checked="" type="checkbox"/>		

დოკუმენტები			<input checked="" type="checkbox"/>		
ინფორმაციის ანალიზი სტრატეგიული მიზნებთან, ამოცანებთან და ინდიკატორებთან მიმართებით	ვ.ხუჭუა კომპანია“ ჯინო-პერედაისი“ შპს „ეკოლანი“				
სტრატეგიული მიზანი 1.				<input checked="" type="checkbox"/>	
ამოცანები (1-7)				<input checked="" type="checkbox"/>	
სტრატეგიული მიზანი 2.				<input checked="" type="checkbox"/>	
ამოცანები (8-10)				<input checked="" type="checkbox"/>	
სტრატეგიული მიზანი 3.				<input checked="" type="checkbox"/>	
ამოცანები (11-13)				<input checked="" type="checkbox"/>	
სტრატეგიული მიზანი 4.	ლ.სალია			<input checked="" type="checkbox"/>	
ამოცანები (14-19)	ლ.სალია			<input checked="" type="checkbox"/>	
დასკვნებისა და რეკომენდაციების შეჯერება, ანგარიშის მომზადება და აკადემიური საბჭოსთვის წარდგენა	შეფასების ჯგუფი. ჯგუფის ხელმძღვანელი				<input checked="" type="checkbox"/>

მონიტორინგის ჯგუფის წევრთა შეხვედრის დღედ განისაზღვრა ყოველი კვირის ორშაბათი, 14.00 წთ. (ოქმი N1-N2-N3-N4);

შეხვედრის ადგილი : გურამ თავართქილაძის სახელობის მცირე სათათბირო დარბაზი.

მონიტორინგის ჯგუფმა ინფორმაციის შეგროვების პროცესში იმუშავა დაბრკოლებების გარეშე, განსაზღვრული გეგმის დაცვით, დროულად დაასრულა 2018 წლის სამოქმედო გეგმის შესრულების შეფასება, შეიმუშავა და შეაჯერა რეკომენდაციები და 10 იანვარს ანგარიში წარუდგინა აკადემიურ საბჭოს.



ანგარიში

2018

გთუნის 2017-2023 წლის სტრატეგიული გეგმის შესაბამისად შემუშავებული 2018 წლის სამოქმედო გეგმა მოიცავს 4 სტრატეგიულ მიზანს, კერძოდ:

I სტრატეგიული მიზანი:	დისციპლინირებული ინტელექტუალური საქმიანობა და მისი სრულყოფა განათლების ყველა ასპექტის ხარისხის გაუმჯობესებით;
II სტრატეგიული მიზანი:	კვლევის, ნოვაციებისა და კრეატიულობის ყოველმხრივი მხარდაჭერა, გთუნის ცნობადობის და რეპუტაციის ამაღლება;
III სტრატეგიული მიზანი:	ინსტიტუციური ინტერნაციონალიზაციის გაღრმავება და შემდგომი განვითარება;
IV სტრატეგიული მიზანი:	ინსტიტუციური მდგრადობის უზრუნველყოფა და კონკურენტუნარიანობის ზრდა.

გეგმაში, თითოეული სტრატეგიული მიზნისათვის განსაზღვრულია ამოცანები, კერძოდ:

I სტრატეგიული მიზნის მისაღწევად რაც ითვალისწინებს დისციპლინირებულ ინტელექტუალურ საქმიანობას და მის სრულყოფას განათლების ყველა ასპექტის ხარისხის გაუმჯობესებით, დაგეგმილია 7 ამოცანის განხორციელება, ესენია:

1. გთუნი შესთავაზებს სტუდენტებს მაღალ ხარისხზე და შედეგზე ორიენტირებულ საგანმანათლებლო მომსახურებას;
2. აკადემიზმის სტანდარტებისა და ანგარიშვალდებულების ზრდა;
3. პედაგოგის თანამედროვე მიღწევების დანერგვა და პედაგოგთა პროფესიული მხარდაჭერის შემდგომი განვითარება;
4. სტუდენტის აკადემიური მიღწევების ხარისხის ზრდა;
5. სტუდენტთა დასაქმების მაჩვენებლის ზრდა;
6. სწავლა მთელი ცხოვრების განმავლობაში -LLL” გთუნის, როგორც ზრდასრულთა განათლების ავტორიტეტული დაწესებულების პოზიციონირება;
7. გთუნის ორგანიზაციული სტრუქტურის ეფექტიანობის გაუმჯობესება.

II სტრატეგიული მიზნის მისაღწევად, რაც ითვალისწინებს კვლევის, ნოვაციებისა და კრეატიულობის ყოველმხრივ მხარდაჭერას, გთუნის ცნობადობის და რეპუტაციის ამაღლებას, დაგეგმილია 3 ამოცანის განხორციელება. ესენია:

8. სამეცნიერო საქმიანობის ხარისხის ამაღლება და ინტენსიფიკაცია სამართლის, ბიზნესის ადმინისტრირების და სოციალური მეცნიერებების მიმართულებით;
9. საერთაშორისო პუბლიკაციების წამახალისებელი პროექტების შემუშავება;
10. სამეცნიერო აქტივობების მენეჯმენტის ხარისხის გაუმჯობესება.

III სტრატეგიული მიზნის მისაღწევად, რაც ითვალისწინებს ინსტიტუციური ინტერნაციონალიზაციის გაღრმავებას და შემდგომ განვითარებას, დაგეგმილია 3 ამოცანის განხორციელება. ესენია:

11. საერთაშორისო საუნივერსიტეტო სივრცეში გთუნის ცნობადობის და ავტორიტეტის ამაღლება ინტერნაციონალიზაციის მეშვეობით;
12. სტუდენტთა მომზადება აქტიურობისთვის გლობალიზებულ გარემოში;
13. უცხოურენოვანი, მათ შორის ერთობლივი პროგრამების მომზადება და უცხოელი სტუდენტების მოზიდვის ტაქტიკის შემუშავება

IV სტრატეგიული მიზნის მისაღწევად, რაც ითვალისწინებს ინსტიტუციური მდგრადობის უზრუნველყოფას და კონკურენტუნარიანობის ზრდას, დაგეგმილია 6 ამოცანის განხორციელება. ესენია:

14. ფინანსური მდგრადობის უზრუნველყოფა;
15. ფანდრეიზინგი- შემოსავლების ზრდა და სამეწარმეო კულტურის დანერგვა;
16. საკადრო მდგრადობის უზრუნველყოფა;
17. მენეჯმენტის ეფექტიანობის და მდგრადობის უზრუნველყოფა შედეგზე და მიღწევებზე ორიენტირებული, თანამშრომლობითი და ტრანსფორმირებადი ადმინისტრირებით;
18. საუნივერსიტეტო გარემოს მდგრადობის უზრუნველყოფა, სტრატეგიულად ორიენტირებული ფიზიკური გარემოს შემდგომი განვითარება-განახლება.

სამოქმედო გეგმით განსაზღვრული ქვეამოცანები/ განხორციელების მექანიზმების შესრულების მდგომარეობა დეტალურად მოცემულია N1, N2, N3 და N4 ცხრილებში.

გეგმაში ჩამოყალიბებული მექანიზმებისა და ინდიკატორების შესრულების მდგომარეობა შეფასდა დოკუმენტით „სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია და გეგმის განხორციელების მონიტორინგი და შეფასება“ განსაზღვრული კრიტერიუმების საფუძველზე, რაც ითვალისწინებს შესრულების შემდეგ რეიტინგებს/სტატუსს:

- სრულად შესრულდა: სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ღონისძიება სრულად შესრულებულია;
- უმეტესად შესრულდა: სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ღონისძიების ნახევარზე მეტი სრულად შესრულდა და მხოლოდ მცირე ნაწილი დარჩა შესასრულებელი;
- ნაწილობრივ შესრულდა: სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ღონისძიების ნახევარზე ნაკლები შესრულდა და უმეტესი ნაწილი დარჩა შესასრულებელი;
- არ შესრულდა: სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ღონისძიება არ არის შესრულებული.
ხოლო თითოეული ღონისძიების **განხორციელების პროცესი** გაიზომა შემდეგი ხუთი კრიტერიუმით/სტატუსით:
 - განხორციელების პროცესი ჯერ არ დაწყებულა;
 - განხორციელების პროცესი მიმდინარეობს;

- განხორციელების პროცესი შეჩერებულია;
- განხორციელების პროცესი შეწყვეტილია.

2017 წლის სამოქმედო გეგმის მონიტორინგის შემდგომი ცვლილებები

სტრატეგიული მიზანი, ამოცანა/ქვეამოცანა სადაც ცვლილება განხორციელდა	ცვლილება N	ცვლილების მიზეზი	ცვლილების განხორციელება
I სტრატეგიული მიზანი ქვეამოცანა 2.3.	1	საჭიროებს ნათლად ჩამოყალიბებას, ინდიკატორები არ იყო გაზომვადი .	2018 წლის სამოქმედო გეგმიდან ამოცანა ამოღებულია
I სტრატეგიული მიზანი ქვეამოცანა 3.2	2	ქვეამოცანა ინოვაციური სწავლების შეფასების დამოუკიდებელი ნორმატიული და ბაზის შექმნა- .არამართებულად იყო ჩამოყალიბებული	2018 წლის სამოქმედო გეგმიდან ამოცანა ამოღებულია
I სტრატეგიული მიზანი ქვეამოცანა 3.1 და 3.3.	3	3.1 და 3.3. პუნქტი არსებითად ერთიდაიგივეა და უნდა გაერთიანდეს.	2018 წლის სამოქმედო გეგმაში 3.1. და 3.3.ქვეამოცანები გაერთიანებულია
I სტრატეგიული მიზანი ქვეამოცანა 4.1.	4	საჭიროებს რეფორმულირებას ვინაიდან ამოცანები ძალზე ვრცლად არის ჩამოყალიბებული	რეფორმულირებულია
I სტრატეგიული მიზანი ქვეამოცანა 4.2.	5	ქვეამოცანა სასურველია რეფორმულირებულ იქნეს 2018 წლის სამოქმედო გეგმაში, ვინაიდან ამოცანები ძალზე ვრცლად არის ჩამოყალიბებული	რეფორმულირებულია
I სტრატეგიული მიზანი ქვეამოცანა 4.5	6	საჭიროებს ლაკონურად ჩამოყალიბებას. ინდიკატორი გაზომვადი არ არის	რეფორმულირებულია
I სტრატეგიული მიზანი ქვეამოცანა 4.9	7	უნდა გაერთიანდეს 4.2-თან, რადგან არსებითად ერთი და იგივეა	4.2. და 4.9. გაერთიანებულია
I სტრატეგიული მიზანი ქვეამოცანა 4.12.	8	ეს ქვეამოცანა ძალზე ფართოა, საჭიროებს დაკონკრეტებას, რაც გაამარტივებს მის გაზომვას;	ქვეამოცანა 4.12. დაკონკრეტებულია

I სტრატეგიული მიზანი ამოცანა 5. ქვეამოცანები 5.2.-5.3.	9	ქვეამოცანები 5.2.-5.3. უნდა გაერთიანდეს რადგან არსებითად ერთი და იგივე აზრს გამოხატავენ	ქვეამოცანები 5.2.-5.3 გაერთიანებულია, (5,2-ში)
I სტრატეგიული მიზანი 7.3 და 7.4. ამოცანები უნდა გაერთიანდეს, რადგან არსებითად ერთი და იგივეა	10	7.3 და 7.4. ქვეამოცანები უნდა გაერთიანდეს, რადგან არსებითად ერთი და იგივეა	7.3 და 7.4. ქვეამოცანები გაერთიანებულია (7.3-ში)
II სტრატეგიული მიზანი: ქვეამოცანები 1.2. და 1.3.	11	1.2. და 1.3. ქვეამოცანები საჭიროებს გაერთიანებას და რეფორმულირებას.	1.2. და 1.3 ქვეამოცანები გაერთიანებულია (1.2.-ში)
II სტრატეგიული მიზანი: 1.4. ქვეამოცანა	12	ქვეამოცანა ამბიციურია და სასურველია ის აღარ იქნეს შეტანილი 2018 წლის გეგმაში	ამოღებულია
II სტრატეგიული მიზანი: 1.7. ქვეამოცანა	13	ქვეამოცანა ამბიციურია და სასურველია ის აღარ იქნეს შეტანილი 2018 წლის გეგმაში	ამოღებულია
II სტრატეგიული მიზანი: 2.1 და 2.2. ქვეამოცანები	14	უნდა გაერთიანდეს, რადგან არსებითად არსებითად ერთი და იგივე მქანიზმებია	გაერთიანებულია

ყოველივე ზემოაღნიშნულის საფუძველზე, ქვემოთ წარმოდგენილია 2018 წლის სამოქმედო გეგმით განსაზღვრული ამოცანების შესრულების სტატუსი და შემუშავებულია რეკომენდაციები სტრატეგიული მიზნების/ამოცანების მიმართ.

I სტრატეგიული მიზანი: ინტელექტუალური საქმიანობა და მისი სრულყოფა განათლების ყველა ასპექტის ხარისხის გაუმჯობესებით

ცხრილი N1

სტრატეგიული ამოცანები და ქვეამოცანები	შედეგები ინდიკატორების შესაბამისად	შესრულების რეიტინგი/სტატუსი				მონიტორინგის ჯგუფის კომენტარი
		სრულად შესრულდა	უმეტესად შესრულდა	ნაწილობრივ შესრულდა	არ შესრულდა	
ამოცანა 1. გთუნი შესთავაზებს სტუდენტებს მაღალ ხარისხზე და შედეგზე ორიენტირებულ საგანმანათლებლო მომსახურებას						
1.1. შრომის ბაზრის კვლევა (პირველადი და მეორადი), მოთხოვნების იდენტიფიცირება და პროგნოზულ სამომავლო მოთხოვნებზე ინფორმაციის მორგება.	<ul style="list-style-type: none"> - ყველა მოქმედ პროგრამასთან დაკავშირებით ჩატარებულია შრომის ბაზრის როგორც პირველადი, ისე მეორადი კვლევა; - შრომის ბაზრის მოთხოვნები ასახულია პროგრამებში; - კვლევის ანგარიშები; 	<input checked="" type="checkbox"/>				2017 წლის კვლევებში დომინირებდა დომინირებდა მეორადი კვლევები; მონიტორინგის ჯგუფის რეკომენდაცია კვლევა განხორციელებულიყო დამსაქმებლების მეტი ჩართულობით გათვალისწინებულია.
1.2. საერთაშორისო საგანმანათლებლო სივრცეში მოქმედი პროგრამების ბენჩმარკინგი .	<ul style="list-style-type: none"> - მოქმედ პროგრამებთან დაკავშირებით განხორციელდა შედარებითი ანალიზი, ანალიზის შედეგები გათვალისწინებულია პროგრამის გაუმჯობესების პროცესში. 		<input checked="" type="checkbox"/>			ბენჩმარკინგი მეტად უნდა ჩანდეს პროგრამებში, რაც გათვალისწინებული უნდა იყოს ავტორაზაციისთვის წარსადგენ პროგრამებში.
1.3. პროგრამების ხარისხის სისტემატური შეფასება და შეფასების მექანიზმების გაუმჯობესება; პროგრამის და თითოეული კურსის აქტუალობის შეფასება განახლება-დახვეწა ბენჩმარკინგის საფუძველზე.	<ul style="list-style-type: none"> - ხუსის მიერ მოქმედი პროგრამების შეფასება განხორციელდა და აისახა თვითშეფასებაში; - ყველა პროგრამა შეესაბამება პროგრამის დაგეგმვისა და განხორციელების მოთხოვნებს, კურსები აქტუალურია ფა გარკვეული პერიოდულობით თვალისწინებს შინაარსის და ლიტერატურის გაუმჯობესებას 	<input checked="" type="checkbox"/>				

	და გამდიდრებას თანამედროვე ტრენდების გათვალისწინებით. - თვითმეფასების ანგარიში.					
1.4. პროგრამების შემდგომი დივერსიფიკაცია (მათ შორის პროფესიული განათლების დონეზე).	პროგრამების დივერსიფიკაცია მიზანშეწონილად ჩაითვალა, რომ განხორციელდეს 2019 წლიდან; მას შემდეგ, რაც გაივლის პროგრამულ აკრედიტაციას და ავტორიზაციას.	-	-	-	-	პროგრამების დივერსიფიკაცია მიზანშეწონილად ჩაითვალა, რომ განხორციელდეს 2019 წლიდან; მას შემდეგ, რაც გაივლის პროგრამულ აკრედიტაციას და ავტორიზაციას.
ამოცანა 2. აკადემიზმის სტანდარტებისა და ანგარიშვალდებულების ზრდა						
1.1. კონკურსების გამოცხადება და შესარჩევი საკონკურსო კრიტერიუმების დახვეწა სტრატეგიული პრიორიტეტების გათვალისწინებით; კონკურსების ორგანიზება.	<ul style="list-style-type: none"> - CV უნიფიცირებული ფორმა შემუშავებულია - გამოცხადდა კონკურსები (5 აკადემიური ტანამდებობის დასაკავებლად, 4 მოწვეული პერსონალისთვის, 1 სტაჟირების პროგრამა) აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად, რაც განხორციელდა კანონის სრული დაცვით, ღიად და გამჭვირვალედ; - საკონკურსო კრიტერიუმების საფუძველზე წარმოდგენილ იქნა დოკუმენტაცია და ჩატარდა გასაუბრება; - კომისიის გადაწყვეტილება (ოქმი) დროულად იქნა გასაჯაროებული /ატვირთული ვებგვერდზე; - კონკურსების შედეგებთან დაკავშირებით პრეტენზიები/საჩივრები არ დაფიქსირებულა. 	<input checked="" type="checkbox"/>				საკონკურსო კრიტერიუმებში სავალდებულო უნდა გახდეს უცხოური ენის (უპირატესად ინგლისურის) ცოდნა
2.2. აკადემიზმის სტანდარტებისა და ანგარიშვალდებულებისადმი მიდგომების გადახედვა და განახლება.	- გთუნის მიერ შემუშავდა „პერსონალის მართვის სტრატეგია“, რომელიც რიგ სხვა საკითხთან ერთად მოიცავს აკადემიური პერსონალის ანგარიშვალდებულების საკითხსაც. დოკუმენტით განსაზღვრული წესით პერსონალის შეფასება გაზრდის მის ანგარიშვალდებულებას და საქმიანობის სტანდარტს.		<input checked="" type="checkbox"/>			<p>აკადემიური პერსონალის განახლებული ანგარიშვალდებულები გაიწერა „პერსონალის მართვის სტრატეგიაში“, ამ ნორმებით შეფასება დაიწყება 2018 წლიდან.</p> <p>სასურველია პერსონალის მართვის სტრატეგია განახლდეს, მასში შევიდეს გაერთიანდეს სამეცნიერო საქმიანობის შეფასებაც;</p> <p>დასახვეწია საათობრივი ანაზღაურებით მოწვევის წესი, რაც უნდა მოხდეს კონკურსის წესით.</p>

<p>2.3. სხვადასხვა თაობის პროფესორთა და მკვლევართა ერთობლივი საქმიანობის უპირატესობათა წარმოჩენა და ახალგაზრდა, პერსპექტიული კადრის პროფესიული და სამეცნიერო-პედაგოგიური ზრდის ყოველმხრივი ხელშეწყობა.</p>	<ul style="list-style-type: none"> - სხვადასხვა თაობის პროფესორები ერთობლივად თანამშრომლობენ: წლიური საკათედრო თემების, სამეცნიერო სტატიების მომზადებაში; პროგრამების დახვეწის პროცესში და სხვა; - ახალგაზრდა სპეციალისტები ადასტურებენ, რომ მათ ზრდას მნიშვნელოვნად უწყობს ხელს უფროსი თაობის პედაგოგიური თუ სამეცნიერო გამოცდილების გაზიარება. 		<input checked="" type="checkbox"/>		<p>2019 წლის სამოქმედო გეგმაში სასურველია ქვემოცანა ჩამოყალიბდეს ლაკონურად (მაგალითად, მენტორინგის პრაქტიკა)</p>																		
<p>2.4. თაობათა ჩანაცვლების ტაქტიკის შემუშავება უნივერსიტეტის შემდგომი განვითარებისათვის.</p>	<ul style="list-style-type: none"> - გთუნი აგრძელებს ახალგაზრდა კადრის მოზიდვის და დაწინაურების პოლიტიკას; ახალგაზრდა სპეციალისტები დაინიშნენ აკადემიურ და ადმინისტრაციულ თანამდებობებზე. მიუხედავად ამისა, საანგარიშო პერიოდში გთუნის ასაკობრივი სტრუქტურა ასეთია: <div data-bbox="703 690 1186 1063" data-label="Figure"> <table border="1"> <caption>აკადემიური პერსონალის განაწილება ასაკის მიხედვით</caption> <thead> <tr> <th>ასაკობრივი ჯგუფი</th> <th>რაოდენობა</th> </tr> </thead> <tbody> <tr> <td>1934-1939</td> <td>2</td> </tr> <tr> <td>1940-1945</td> <td>3</td> </tr> <tr> <td>1946-1951</td> <td>9</td> </tr> <tr> <td>1952-1957</td> <td>10</td> </tr> <tr> <td>1958-1963</td> <td>9</td> </tr> <tr> <td>1964-1969</td> <td>4</td> </tr> <tr> <td>1970-1975</td> <td>6</td> </tr> <tr> <td>1976-1981</td> <td>9</td> </tr> </tbody> </table> </div>	ასაკობრივი ჯგუფი	რაოდენობა	1934-1939	2	1940-1945	3	1946-1951	9	1952-1957	10	1958-1963	9	1964-1969	4	1970-1975	6	1976-1981	9		<input checked="" type="checkbox"/>		<p>ზოგიერთი კოლეგის აზრით, ქვემოცანის ფორმულირება დისკრიმინაციულია.</p> <p>ამიტომ 2019 წლის გეგმაში 2.3. და 2.4. გაერთიანდეს სხვა ფორმულირებით.</p>
ასაკობრივი ჯგუფი	რაოდენობა																						
1934-1939	2																						
1940-1945	3																						
1946-1951	9																						
1952-1957	10																						
1958-1963	9																						
1964-1969	4																						
1970-1975	6																						
1976-1981	9																						

ამოცანა 3. პედაგოგიკის თანამედროვე მიღწევების დანერგვა და პედაგოგთა პროფესიული მზარდაჭერის შემდგომი განვითარება

<p>3.1. ინოვაციური სწავლების და სწავლის სტრატეგიების ინსტიტუციონალიზაცია; ნორმატიული, მეთოდური და ტექნოლოგიური ბაზის გაუმჯობესება. ელექტრონული სწავლების ელემენტების მეტი ინტეგრირება სწავლების პროცესში, აკადემიური პერსონალის ტრენინგები</p>	<ul style="list-style-type: none"> - შექმნილია გთუნის დიდაქტიკური კონცეფცია, რომელშიც გაწერილია სწავლება-სწავლის სხვადასხვა მეთოდი, მ.შ. თანამედროვე მეთოდები; - პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით წლის მანძილზე ჩატარდა ჩატარდა 2 მეთოდურისემინარი ინოვაციური სწავლების მეთოდებზე; - აკადემიურ პერსონალს ეძლევა რჩევები სალექციო კურსების თანამედროვე 		<input checked="" type="checkbox"/>		<p>სილაბუსების ანალიზი, ასევე ურთიერთდასწრების შედეგები ცხადყოფს, რომ სწავლა-სწავლების მეთოდები საჭიროებს მოდერნიზაციას, ჯერ კიდევ იკვეთება სწავლების მეთოდების ერთფეროვნება;</p> <p>მეტი ყურადღება უნდა მიექცეს განმავითარებელ შეფასებას</p>
--	---	--	-------------------------------------	--	---

	<p>მეტოდებით წარმართვის და სილაბუსებში მეთოდების დაზუსტების შესახებ, თუმცა სილაბუსების ანალიზი, ასევე ურთიერთდასწრების შედეგები ცხადყოფს, რომ სწავლა-სწავლების მეთოდები საჭიროებს მოდერნიზაციას, ჯერ კიდევ იკვეთება სწავლების მეთოდების ერთფეროვნება;</p> <ul style="list-style-type: none"> - სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონულ სისტემას დაემატა მოდულები, რაც სწავლების პროცესში თანამედროვე მეთოდების მეტად გამოიყენების შესაძლებლობას იძლევა, მათ შორის ელექტრონული კურსების შექმნის. ამ მხრივ აქტიურობა მაღალი არ არის. 				<p>ელექტრონული კურსების შექმნა დაწყებულია, თუმცა ამ კუთხით მუშაობა გასააქტიურებელია.</p>
<p>3.2. აკადემიური პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლება სწავლების მრავალფეროვანი, თანამედროვე და ინოვაციური მეთოდების და ტექნოლოგიების გამოყენების მიმართულებით.</p>	<ul style="list-style-type: none"> - ელექტრონული სწავლების ელემენტები ინტეგრირებულია სასწავლო პროცესში; - პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით წლის მანძილზე ჩატარდა სემინარები: <ul style="list-style-type: none"> ▪ „პროგრამის მიზნები და აკრედიტაციის სტანდარტების მოთხოვნები“ ▪ პროგრამის სწავლის შედეგები და აკრედიტაციის სტანდარტების მოთხოვნები“ ▪ „სწავლა-სწავლების თანამედროვე მეთოდები და მათი უპირატესობანი“ ▪ „EBSCO-ს ბაზებით სარგებლობა“ ▪ კრედიტების გაანგარიშების წესი“ ▪ „უსდ-ს მისია და სტრატეგია და საუნივერსიტეტო საზოგადოების ჩართულობის მნიშვნელობა“ 	<input checked="" type="checkbox"/>			<p>ჩატარდა 6 მეთოდური სემინარი/ტრენინგი, რომელსაც დაესწრო პერსონალის 80%; დაურიგდათ ჰენდაუტები, ელექტრონულად გადაეგზავნათ ტრენინგის მასალები აქტივობები უნდა გაგრძელდეს მეტი უცხოელი სპეციალისტის ჩართვით.</p>
<p>3.3. აკადემიური პერსონალის დატვირთვის ზღვრული ოდენობის განსაზღვრის არსებული წესის განახლება და დატვირთვის ოპტიმალური მოდელის შემუშავება.</p>	<ul style="list-style-type: none"> - განახლებულია აკადემიური პერსონალის დატვირთვის ზღვრული ოდენობის განსაზღვრის არსებული წესი, რომელიც მოიცავს როგორც სასწავლო, ისე სამეცნიერო და ადმინისტრაციული საქმიანობის ნორმებს; - აკადემიური პერსონალი იცნობს აღნიშნულ დოკუმენტს. 	<input checked="" type="checkbox"/>			<p>გთუნის პერსონალი მუშაობს დატვირთვის ოპტიმალური მოდელის შესაბამისად</p>
<p>3.4. პედაგოგიური საქმიანობის ხარისხის შეფასების მეთოდების გაუმჯობესება; სწავლების საუკეთესო მოდელების</p>	<ul style="list-style-type: none"> - დოკუმენტით “პერსონალის მართვის სტრატეგია“ განსაზღვრული და გაუმჯობესებულია პედაგოგიური საქმიანობის ხარისხის შეფასების მეთოდები, 	<input checked="" type="checkbox"/>			<p>განახლებული კრიტერიუმებით პედაგოგიური საქმიანობის შეფასებაში კიდევ უფრო</p>

<p>გამოვლენა; შეფასების ინსტრუმენტების და კრიტერიუმების შექმნა.</p>	<p>რაც მულტიკრიტერიუმების პრინციპითაა აგებული;</p> <ul style="list-style-type: none"> - შეფასება განხორციელებულია; - ხუსის ანგარიში 					<p>აქტიურად იქნა გამოყენებული თანადასწრების და გამოცდილების გაზიარების პრაქტიკა,</p> <p>საუკეთესო მოდელები განიხილება კათედრების სხდომებზე.</p>
<p>3.5. პედაგოგთა სტიმულირების ფორმების და კრიტერიუმების შემუშავება-დახვეწა, წლის საუკეთესო პედაგოგის გამოვლენა.</p>	<ul style="list-style-type: none"> - წლის საუკეთესო პედაგოგის გამოვლენის კრიტერიუმები ჯერ არ შემუშავებულა. 				<input checked="" type="checkbox"/>	<p>პედაგოგთა სტიმულირების ფორმების და კრიტერიუმების ინსტიტუციური მოდელის შემუშავება-დახვეწის და წლის საუკეთესო პედაგოგის გამოვლენის პროცესი ჯერ არ დაწყებულა, რაც 2018 წლიდან უნდა განხორციელდებოდა, რაც არ მოხდა.</p> <p>რთულია საუკეთესო მოდელის კრიტერიუმების განსაზღვრა და შესაბამისად სრულიად ობიექტური სურათის მიღება. შესაბამისად, სასურველია 2019 წლის სამოქმედო გეგმიდან ეს ქვეამოცანა ამოღებულ იქნეს</p>

ამოცანა 4. სტუდენტის აკადემიური მიღწევების ხარისხის ზრდა

<p>4.1. სტუდენტთა აკადემიური მიღწევების ზრდის და მოტივირების ზრდა</p>	<p>გთუნი ცდილობს აამაღლოს სტუდენტთა აკადემიური მიღწევების ზრდის მოტივაცია, რიგი ღონისძიებით/რეგულაციით, რომელთა შორისაა:</p> <ul style="list-style-type: none"> - შეფასების მოქმედი სისტემა, რომელიც სტუდენტს საშუალებას აძლევს ადადგინოს და გააუმჯობესოს მიღწეული შედეგები ყოველგვარი დამატებითი ფინანსური ვალდებულების გარეშე; - Erasmus+ პროგრამებში ჩართვის შესაძლებლობა, რისთვისაც გთუნის პირდაპირი კავშირების დამყარების და ასიმეტრიული მობილობის პოლიტიკას, რაც გთუნის სტუდენტებს აძლევს ექსკლუზიურ შესაძლებლობებს, მიიღოს მონაწილეობა და გაიმარჯვოს კონკურსში მხოლოდ გთუნის სტუდენტებს შორის; 		<input checked="" type="checkbox"/>		<p>სტუდენტთა მხარდაჭერის მექანიზმები შემუშავებული და გამრავალფეროვნებულია, თუმცა აკადემიური მიღწევების ზრდის პოზიტიური დინამიკა არ გამოიკვეთა. რაც ნიშნავს, რომ ძალისხმევა ამ მიმართულებით გასააქტიურებელია.</p> <p>2018-ში არ პარტნიორი კომპანიების სახელით არ გაცემულ სტიპენდიები, რაც პრაქტიკა, რისი მიზეზებიც შესწავლას საჭიროებს</p> <p>2019 წლის სამოქმედო გეგმა მეტად უნდა იყოს ფოკუსირებული აკადემიური მხარდაჭერის მექანიზმებზე.</p>
---	---	--	-------------------------------------	--	--

	<ul style="list-style-type: none"> - გურამ თავართქილაძის სახელობის და სტანდარტული სტიპენდიების, სტიპენდიების მინიჭება; - ლექციების ციკლის, მასტერ-კლასების და ტრენინგების ორგანიზება უცხოელი სპეციალისტების მონაწილეობით, სტუდენტებისთვის სერტიფიკატების გადაცემა. - სამაგისტრო გამოცდებისთვის მოსამზადებელი კურსები დაფინანსებულია გთუნის მიერ; - სტუდენტური სამეცნიერო კონფერენციის ორგანიზება და სამეცნიერო სტატიის ან თეზისის გამოქვეყნება სამეცნიერო შრომათა კრებულში; - დამსაქმებლებთან რეკომენდაციების გაცემა მაღალი აკადემიური მოსწრების სტუდენტთა დასაქმების ხელშეწყობის მიზნით; - სტუდენტთათვის სტაჟირების გავლის შესაძლებლობების შექმნა; - ოლიმპიადების, კონკურსების ორგანიზება და გამარჯვებულთა სხვადასხვა სახით წახალისება. 				
<p>4.2. სტუდენტთა საზოგადოებრივი აქტივობების ზრდა. სტუდენტთა სამეცნიერო, შემოქმედებითი, სპორტული ინიციატივებისა და აქტივობების ყოველმხრივი წახალისება და მხარდაჭერა;</p>	<p>სტუდენტთა მოტივირებისთვის შეიძინონ და მიიღონ ცხოვრებისეული გაკვეთილები ჩვენი საზოგადოების, ჩვენი ერისა და ზოგადად მსოფლიოს გამოცდილებიდან გთუნიმ ჩაატარა რიგი ღონისძიება:</p> <ul style="list-style-type: none"> - ჩატარდა სტუდენტთა მეცხრე სამეცნიერო - შემოქმედებითი კონფერენცია; - პროექტი „ჩაი ჩვენს ლექტორებთან“; - „კარიერის დაგეგმვის გამოფენა“ (ტეა) - შეხვედრა HR დასაქმების ფორუმის წარმომადგენლებთან; - ტრენინგი სტუდენტებისათვის- „კავშირი მდგრადი განვითარებისათვის“; - შეხვედრა პარლამენტში- ნამალადევის რაიონის მაჟორიტარ დეპუტატ სოფიო კილაძესა და სტუდენტებს შორის; - ნაციონალური სისხლის ბანკის აქცია „გადაარჩინე სიცოცხლე“; 	<input checked="" type="checkbox"/>			<p>სტუდენტთა მოტივირებისთვის შეიძინონ ცხოვრებისეული გაკვეთილები ჩვენი ქვეყნისა და ზოგადად მსოფლიოს გამოცდილებიდან გთუნიმ ჩაატარა რიგი ღონისძიება; თუმცა, სასურველია კიდევ უფრო გაიზარდოს საზოგადოებრივი და შემეცნებითი აქტივობები გთუნის მხრიდან, რაც შესაბამისად გაზრდის ამ აქტივობებში ჩართულ სტუდენტთა რაოდენობას;</p> <p>ინიციატივებმა და აქტივობებმა წინა წლებთან შედარებით იკლო, მიუხედავად იმისა, რომ გთუნი მხარს უჭერს ამ ინიციატივებსა და აქტივობებს;</p> <p>საჭიროა სტუდენტთა მოტივირება ამ აქტივობებისათვის.</p>

	<ul style="list-style-type: none"> - საქველმოქმედო აქცია „კათარზისში“- დაფინანსდა სამი დღე; - საქველმოქმედო აქცია „COATS“ (შეჭირვებული ბავშვების თანადგომა); - მონაწილეობა მივიღეთ „თბილისის სტუდენტურ ფესტივალ 2018“-ში; - სტუდენტებისათვის მოეწყო გასვლითი ლექციები: შემოსავლების სამსახურში, ბაზალეთის ტბაზე, საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურში, ბარისახოში; ვაზიანის სამხედრო ბაზაზე; - „მხიარული ექსკურსია“- ორბეთში, ძამას ხეობაში, დაშბაშის კანიონსა და კახეთის რეგიონში; - ჩატარდა ინტელექტუალური თამაში „რა? სად? როდის?“; - საუნივერსიტეტო ტურნირები ფეხბურთსა და კალათბურთში; - ორგანიზება გაეწია კურსდამთავრებულთა დიპლომების გადაცემის საზეიმო ცერემონიალს. - სასაწავლო წლის დასრულებასთან დაკავშირებით გაიმართა „GOODBYE PARTY“ - დაიგზავნა პარტნიორ ორგანიზაციებთან და სამთავრობო უწყებებთან საახალწლო მისალოცი ბარათები; - ჩატარდა საახალწლო წვეულება „New Year Party“; 					
<p>4.3. ინტერაქციის გაღრმავება, გაუმჯობესება ფაკულტეტებსა და სტუდენტებს, კათედრებსა და სტუდენტებს, ლექტორებსა და სტუდენტებს შორის.</p>	<ul style="list-style-type: none"> - ურთიერთობები სტუდენტსა და ხელმძღვანეობასთან, ლექტორებთან, სამსახურებთან ხორციელდება ყოველგვარი დაბრკოლებებისა და ბიუროკრატიული ბარიერები გარეშე; - სტუდენტი საუნივერსიტეტო ცხოვრების სხვადასხვა ასპექტებზე იღებს დაუბრკოლებელ კონსულტაციებს ან/და პასუხებს, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ინფორმაცია საჭიროებს დაზუსტებას ან დამუშავებას; 	<input checked="" type="checkbox"/>				

	<ul style="list-style-type: none"> - სტუდენტები ადასტურებენ კმაყოფილებას ხელმძღვანელობასთან, ლექტორებთან, სამსახურებთან ურთიერთობის სიმარტივეს - გამოკითხვის შედეგებით კმაყოფილება 80%-ია 					
4.4. სტუდენტთა ინფორმირების მექანიზმების გაუმჯობესება; კომუნიკაციის უფრო მოქნილი ხერხების შემუშავება-გამოყენება; საინფორმაციო და საკონსულტაციო შეხვედრების დაგეგმვა, ინტენსიფიკაცია; სტუდენტთა მოთხოვნების, მოლოდინების სისტემატური კვლევა.	<ul style="list-style-type: none"> - სისტემატურად ტარდება სტუდენტთა ტარდება საკონსულტაციო-საინფორმაციო ღონისძიებები, რომელშიც ჩართული სხვადასხვა სამსახური; - სტუდენტები მონაწილეობენ გამოკითხვებში, და აქვთ შესაძლებლობა დააფიქსირონ კრიტიკული მიდგომები, ასევე მოთხოვნები; - ვებგვერდი გამართულად მუშაობს და ასახავს საუნივერსიტეტო საქმიანობას და სიახლეებს; - სამართლიანი კრიტიკა და გონივრული მოთხოვნები გათვალისწინებულია და სრულდება 		<input checked="" type="checkbox"/>			<p>გამოკითხვებით სტუდენტები აფიქსირებენ მათთან კომუნიკაციით კმაყოფილებას, თუმცა ჩაღრმავებული ინტერვიუს ან სპონტანური გამოკითხვის დროს მჟღავნდება, რომ რიგ საკითხზე ინფორმაციას არ ფლობენ.</p> <p>შესაბამისად საჭიროა მათთან უფრო ეფექტური კომუნიკაცია, მაგალითად SMS შეტყობინებების, სოციალური მედიის, ფორუმების და ა.შ. მეტი ჩართვით;</p>
4.5. სასწავლო ინკუბატორების შინაარსობრივი და ინფრასტრუქტურული გადახალისება	<ul style="list-style-type: none"> - გთუნიმ დაგეგმა პრაქტიკის მიზნების გადახედვას და პრაქტიკის სილაბუსებში ცვლილებების შეტანას, რაც განხორციელდა უმეტეს პროგრამაში; - სტუდენტებისთვის გაჩნდა პრაქტიკის ადგილზე (გთუნიში) გავლის შესაძლებლობა 		<input checked="" type="checkbox"/>			<p>სასწავლო ინკუბატორებში ინფრასტრუქტურული და პროგრამული გადახალისების პროცესი დაწყებულია.</p> <p>თუმცა საკითხი კვლავ აქტუალურია</p>
4.6. პარტნიორი ორგანიზაციების (დამსაქმებლების) ქსელის გაფართოება სტუდენტთა პრაქტიკის, სტაჟირების და შემდგომი დასაქმების უზრუნველსაყოფად.	<ul style="list-style-type: none"> - გთუნიმ ორგანიზება გაუწია პრაქტიკის ობიექტების რაოდენობის გაზრდას, რაც კიდევ უფრო ეფექტიანს გახდის პრაქტიკის პირობებს; პრაქტიკის გავლის შესაძლებლობა აქვს გთუნის უკლებლივ ყველა სტუდენტს 	<input checked="" type="checkbox"/>				<p>2018 წელს გაფორმდა 21 მემორანდუმი/ხელშეკრულება</p>
4.7. პარტნიორი უნივერსიტეტების ქსელის შემდგომი გაფართოება; ერთობლივი კურსების, პროგრამების მომზადებისა და განხორციელების, სხვადასხვა გაცვლით პროგრამებში მონაწილეობის პირობების შექმნა.	<ul style="list-style-type: none"> - პარტნიორი უნივერსიტეტების ქსელის შემდგომი გაფართოება და ერთობლივი კურსების, პროგრამების მომზადება და განხორციელება ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკის მნიშვნელოვანი ასპექტია; ინჰოლანდის უნივერსიტეტთან 2018-2020 წწ. განხორციელდება Erasmus + KA1 პროგრამა, რომელშიც ჩართული იქნება 10 სტუდენტი და 2 პედაგოგი ბიზნესის ადმინისტრირების, ტურიზმის მიმართულებით; 		<input checked="" type="checkbox"/>			<p>ინჰოლანდის უნივერსიტეტთან 2018-2020 წწ. ხორციელდება Erasmus+ პროგრამა; ალსტერის უნივერსიტეტთან 2018-2020 წწ. ხორციელდება Erasmus+ პროგრამა; ერთობლივი პროგრამის მომზადების პროცესი დაგეგმილია 2019 წლის ავტორიზაციის შემდეგ</p>

	<ul style="list-style-type: none"> - პროგრამებში შეტანილია უცხოურენოვანი მოდულები (24-30 კრედიტი), როგორც უცხოურენოვანი პროგრამის მოსამზადებელი პირველი ნაბიჯები, ასევე მოდულები წარმოადგენს მიმზიდველ შეთავაზებას უცხოელი სტუდენტებისთვის, მანამდე სანამ გთუნის არ ექნება სრულფასოვანი უცხოურენოვანი პროგრამა. 				
<p>4.8. კურსების, ტრენინგების, მასტერ-კლასების ორგანიზება სტუდენტთა განათლების დივერსიფიცირებისათვის, ელექტრონული სწავლების ფორმების მაქსიმალურად გამოყენებით.</p>	<ul style="list-style-type: none"> - ჩატარდა: - ნეირომარკეტინგი.მ. კოერტსი, ინჰოლანდის უნივერსიტეტი (ნიდერლანდები)- (Erasmus+ პროექტის ფარგლებში) - „ფინანსური აღრიცხვა“. ე. ტვინი, ინჰოლანდის უნივერსიტეტი (ნიდერლანდები); (Erasmus+ პროექტის ფარგლებში). - ინფერენციული სტატისტიკა SPSS“ – რონ რენდოლფი, ინჰოლანდის უნივერსიტეტი (ნიდერლანდები); (Erasmus+ პროექტის ფარგლებში). - „კრიმინოლოგიის კვლევის მეთოდები“ - პროფესორი იორნ ვან რაი, ინჰოლანდის უნივერსიტეტი (ნიდერლანდები).Erasmus+ პროექტის ფარგლებში). - გერმანელი პროფესორის რაინჰარდ პაულინგის ლექციათა კურსი ევროპულ სამართალში - ლექციათა კურსი: ორგანიზებული დანაშაულის სპეციფიკა ეთნოგრაფიული ფაქტორის გათვალისწინებთ (დოქტორი იორნ ვან რაი, ინჰოლანდის უნივერსიტეტი, ნიდერლანდები)(Erasmus+ პროექტის ფარგლებში). - „პერსონალობა და ლიდერობა“ დოქტორი ჩერეკ ბუსტრა. 	☒			<p>მიუხედავად ჩატარებული ღონისძიებების საჭიროა ამ მიმართულების გაძლიერებისთვის საუნივერსიტეტო ბიუჯეტის გაზრდა და მეტი სპეციალისტის მოწვევა;</p> <p>ღონისძიებებში მონაწილეობს სტუდენტთა საკმაოდ შეზღუდული რაოდენობა, ზოგჯერ ბენეფიციარები ერთი და იგივე სტუდენტები არიან, რაც აიხსნება ინგლისური ენის ცოდნის არასათანადო დონით, აღნიშნული 2019 წლის სამოქმედო გეგმაში დამოუკიდებელ ამოცანად უნდა ჩამოყალიბდეს.</p>
<p>4.9. „გურამ თავართქილაძის სახელობის სტიპენდიით“, სტანდარტული სტიპენდი-</p>	<ul style="list-style-type: none"> - სტიპენდიანტები 	☒			<p>სტიპენდიების მინიჭების წესი ღია და საჯაროა</p>

ებთა და სხვა ღონისძიებებით აკადემიურად წარმატებული სტუდენტების წახალისება.						
4.10. სტიპენდიების მოპოვების, ფონდების, პროგრამების, დასაქმების საკითხებზე ინფორმაციის ხელმისაწვდომობით, კონსულტაციებით სტუდენტთა უზრუნველყოფა;	- კარიერული მხარდაჭერის ღონისძიებები ჩატარებულია - საერთაშორისო ურთიერთობების განყოფილება სისტემატურად ავრცელებს ინფორმაციას სხვადასხვა პროექტთან დაკავშირებით და დაინტერესებულ სტუდენტებს სისტემატურად უწევს კონსულტაციებს.		<input checked="" type="checkbox"/>			კარიერული მხარდაჭერის ღონისძიებები უნდა გააქტიურდეს; მეტი შეხვედრა უნდა მოეწყოს რეალურ სექტორთან. საერთაშორისო პროექტებში ჩართვის მსურველი სტუდენტების რიცხვი მაღალი არ არის, რასაც თავად ხსნიან ინგლისური ენის ცოდნის დაბალი დონით.
4.11. სტუდენტთათვის კომფორტულ, თანამედროვე საუნივერსიტეტო ფიზიკურ გარემოზე და მატერიალური რესურსების ეფექტიან გამოყენებაზე ზრუნვა;	- საუნივერსიტეტო ფიზიკური გარემო, მატერიალური რესურსები ეფექტიან გამოიყენება და სტუდენტზეა ორიენტირებული; - საბიბლიოთეკო ფონდი მუდმივად განახლებადია; - საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები პერმანენტულად ვითარდება და ყველასთვის ხელმისაწვდომია		<input checked="" type="checkbox"/>			ქვეამოცანა დაკონკრეტებულია, თუმცა ფაქტობრივად რამდენიმე ამოცანას მოიცავს, 2019 წლის სამოქმედო გეგმაში ეს ქვეამოცანა უნდა ცალ-ცალკე დაიყოს, რაც გაამარტივებს მის გაზომვას.
4.12. ადაპტირებული გარემოს ხარისხის გაუმჯობესება სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე სტუდენტებისთვის.	- შემუშავებულია სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე სტუდენტთა მხარდაჭერის მექანიზმები; - შშმ პირთათვის გარემო გარკვეულწილად ადაპტირებულია, პანდუსების მეშვეობით მათთვის ხელმისაწვდომია გთუნის ძირითადი სასწავლო სივრცეები, ბიბლიოთეკა, კომპიუტერული ცენტრი სააქტო დარბაზი, თუმცა არ არის ლიფტი.		<input checked="" type="checkbox"/>			ადაპტირებული გარემოს ხარისხის გაუმჯობესების პროცესი დაწყებულია სსსმ და შშმ სტუდენტებისთვის შემუშავდა მხარდაჭერის მექანიზმები, რაც მეტად უნდა იყოს ცნობილი ამ კატეგორიის სტუდენტთათვის; მხარდაჭერის ღონისძიებები უნდა გაძლიერდეს მოწყვლადი ჯგუფის სტუდენტთათვის
4.13. სტუდენტთა თვითმმართველობის საქმიანობის ხელშეწყობა.	- სტუდენტთა თვითმმართველობის საქმიანობა, ინიციატივები მხარდაჭერილია		<input checked="" type="checkbox"/>			სტუდენტური თვითმმართველობის ინიციატივები მხარდაჭერილია
ამოცანა 5. სტუდენტთა დასაქმების მაჩვენებლების ზრდა						
5.1. კურსდამთავრებულთა დასაქმების, თვითდასაქმების და მომიჯნავე სფეროებში	- სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან ურთიერთობის განყოფილების მიერ		<input checked="" type="checkbox"/>			სტუდენტთა და კურსდამთავრებულებთან ურთიერთობის განყოფილების ანგარიშში

<p>დასაქმების კვლევა, მონაცემთა ბაზის წოველწლიური განახლება.</p>	<p>ყოველწიურად ტარდება კურსდამთავრებულთა დასაქმების, თვითდასაქმების და მომიჯნავე სფეროებში დასაქმების კვლევა და მონაცემთა ბაზის რეგულარული განახლება.</p> <ul style="list-style-type: none"> - 2017-2018 წლის მდგომარეობით: სამართლის ფაკულტეტის კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებელი 60%-ია, ხოლო ბიზნესისა და სოციალური მეცნიერებების ფაკულტეტის კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებელი 66%-ია, (დეტალური ინფორმაცია მოცემულია სტუდენტთა და კურსდამთავრებულებთან ურთიერთობის განყოფილების ანგარიშში) 				<p>დეტალურად არის მოცემული დასაქმების მაჩვენებლები პროგრამების მიხედვით; გამოყოფილია სპეციალობით დასაქმებულთა რაოდენობა;</p> <p>მიუხედავად იმისა, რომ დასაქმების საერთო მაჩვენებელი დამაკმაყოფილებელია, სპეციალობით დასაქმების მაჩვენებელი საჭიროებს გაუმჯობესებას, უმეტესად ბაკალავრიატის კურსდამთავრებულთა შორის.</p>
<p>5.2. დამსაქმებელთა კმაყოფილების კვლევა; კონსულტაციები და დისკუსიები პარტნიორი ორგანიზაციების წარმომადგენლებთან სხვადასხვა ფორმატში: მრგვალი მაგიდა, სამუშაო შეხვედრები, გასვლითი ლექციები და პრაქტიკული აქტივობები, მასტერ კლასები, სემინარები, პროფესიონალთა რჩევები სტუდენტებს.</p>	<ul style="list-style-type: none"> - ჩატარდა დამსაქმებლებთან შეხვედრები, მათი გამოკითხვა, მოთხოვნების ანალიზი და შესაბამისობა გთუნის პროგრამის სწავლის შედეგებთან; - სტუდენტთა დასაქმების ხელშემწყობი ღონისძიებები რეგულარულად ტარდება; - დასაქმებულ სტუდენტთა რაოდენობა გაზრდილია; - სუდენტთა გამოკითხვის შედეგები 		<input checked="" type="checkbox"/>		<p>დამსაქმებლებთან კომუნიკაცია უფრო საგნობრივი და ქმედითი უნდა გახდეს დამსაქმებელთა მოთხოვნების კვლევა უნდა გააქტიურდეს, ხოლო კვლევის შედეგები მეტად გათვალისწინებულ იქნეს პროგრამებში.</p> <p>სტუდენტთა დასაქმების ხელშემწყობი ღონისძიებები მეტი რეგულარობით უნდა ჩატარდეს.</p> <p>დამსაქმებელთა საკმაოდ დიდი ქსელის არსებობის მიუხედავად, მათთან კონსულტაციები ზოგჯერ რეალური შედეგის მომტანი არ არის; გამოკითხვების ანალიზით ჩანს, რომ ისინი კვალიფიკაციის დეფიციტზე აკეთებენ აქცენტს, თუმცა ჩაღრმავების შემთხვევაში დეფიციტს მხოლოდ ინგლისური და რუსული ენების ცოდნას უკავშირებენ.</p>
<p>5.3. კურსდამთავრებულებთან ინტენსიური და ნაყოფიერი კომუნიკაციის უზრუნველყოფა.</p>	<p>კურსდამთავრებულთა ასოციაცია შექმნილია, კურსდამთავრებულებთან კომუნიკაცია არსებობს, მაგრამ ის ინტენსიურად და ნაყოფიერად ვერ ჩაითვლება;</p>		<input checked="" type="checkbox"/>		<p>2017 წლის შემდეგ ეს საკითხი არ გაუმჯობესებულა. კურსდამთავრებულთა ასოციაცია პასიურია და არ არის აქტიურად ჩართული გთუნის საქმიანობაში, რაც საჭიროებს მეტ ძალისხმევას და განახლებული ტაქტიკის შემუშავებას.</p>

ამოცანა 6. „სწავლა მთელი ცხოვრების განმავლობაში-LLL“ გთუნის, როგორც ზრდასრულთა განათლების ავტორიტეტული დაწესებულების პოზიციონირება

<p>6.1. “სწავლა მთელი ცხოვრების განმავლობაში-LLL” ფარგლებში ზრდასრულთათვის მრავალფეროვანი პროგრამების შექმნა; მოკლე და/ან გრძელვადიანი კურსების, ტრენინგების ჩატარების მოქნილი ფორმების შემუშავება (მათ შორის ელექტრონული სწავლება.)</p>	<p>Tempus-ის პროექტის ფარგლებში შეიქმნა ტრენინგისა და კონსალტინგის ცენტრი შემუშავებულია უწყვეტი განათლების კონცეფცია; შექმნილ ტრენინგ კურსებს დაემატა 3 ინგლისურენოვანი მოდული (6 კურსი):</p> <ol style="list-style-type: none"> Module: Sustainable Destination Management <ul style="list-style-type: none"> Sustainable Destination Development; ETIS -European Tourism Indicator System for Evaluation of Destination Sustainability; Module: Cross-Cultural Business Communication <ul style="list-style-type: none"> Dimensions of Cross Cultural Communication Intercultural Competence in Interpersonal Communication Module: Modern Media and Society <ul style="list-style-type: none"> Mass Communication as whole System New Media and Impact on Society <p>- კურსების მომზადება გრძელდება, რაც მეტად იქნება ორიენტირებული საზოგადოების მოთხოვნებზე საკონსულტაციო მომსახურება გაეწია კერძო სექტორს;</p>		<input checked="" type="checkbox"/>			<p>კურსების მომზადება გრძელდება, რაც მეტად იქნება ორიენტირებული საზოგადოების მოთხოვნებზე (მაგ. კომპიუტერული წიგნიერება, ინგლისური ენა, ბიზნეს-გეგმის შედგენა, CV შედგენა და სხვა); კვლავ ვერ მოხერხდა მათი კომერციალიზაცია, ამ მიმართულებით მუშაობა გრძელდება მომზადდა 3 ინგლისურენოვანი მოდული (6 კურსი) გთუნის მიზიდველობის გაზრდისათვის უცხოელი სტუდენტებისთვის; მცდელობა წარმატებული აღმოჩნდა, რადგან კურსები წარმატებით გაიარეს გერმანიის ინგოლშტატის უნივერსიტეტის ტურიზმის მენეჯმენტის მაგისტრებმა. საკონსულტაციო მომსახურება გაეწია კერძო სექტორს; სახელმწიფო სექტორისა და არასამთავრობო ორგანიზაციებისთვის კონსულტაციები არ ჩატარებულა, რადგან მათთვის შეთავაზებები ჩამოყალიბებული ჯერ-ჯერობით არ არის</p>
<p>6.2. გთუნის, როგორც ზრდასრულთა განათლებისა და კომპეტენციების ცენტრის რეკლამირება და კომერციალიზაცია. მარკეტინგული სტრატეგიის შემუშავება.</p>				<input checked="" type="checkbox"/>		<p>ვერ მოხდა გთუნის, როგორც ზრდასრულთა განათლებისა და კომპეტენციების ცენტრის სათანადო რეკლამირება და პროგრამები კომერციალიზაცია</p>
<p>ამოცანა 7. გთუნის ორგანიზაციული სტრუქტურის ეფექტიანობის გაუმჯობესება</p>						
<p>7.1. საუნივერსიტეტო მისიის, სტრატეგიული მიზნებისა და განათლების თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი ორგანიზაციული სტრუქტურის შექმნა.</p>	<p>გთუნის სტრუქტურა სავსებით უზრუნველ-ყოფს მისიის და სტრატეგიული მიზნების განხორციელებას</p>	<input checked="" type="checkbox"/>				<p>ორგანიზაციული სტრუქტურა უზრუნველყოფს მისიის და სტრატეგიული მიზნების განხორ-ციელებას;</p>
<p>7.2. სტრუქტურული ერთეულების ფუნქციონირების ეფექტიანობის უზრუნველყოფის მექანიზმების გაუმჯობესება; ფუნქციების და პასუხისმგებლობების მკაფიო გამიჯვნა და დუბლირების აღმოფხვრა.</p>	<p>ფუნქციები და პასუხისმგებლობები მკაფიოდ გამიჯნულია და დუბლირებას ადგილი არ აქვს</p>	<input checked="" type="checkbox"/>				<p>ფუნქციები და პასუხისმგებლობები გამიჯნულია, უნდა მოხდეს გთუნის მარეგულირებელი დოკუმენტების დახვეწა</p>

<p>7.3. სტრუქტურული ერთეულების მართვის ოპერატიულობის, მოქნილობის და კოორდინაციის მექანიზმების გაუმჯობესება;</p>	<p>სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვა- ნელებისთვის ჩატარდა ტრენინგი: “Personality and Leadership” Tj.Busstra „მართვა და კომუნიკაცია“ პროფ. გ.მათიაშვილი</p>		<input checked="" type="checkbox"/>		<p>საჰიროა მეტი ტრენინგები ადმინისტრ- აციული ერთეულების ხელმძღვა- ნელებისათვის</p>
---	--	--	-------------------------------------	--	--

II სტრატეგიული მიზანი: კვლევის, ნოვაციებისა და კრეატიულობის ყოველმხრივი მხარდაჭერა,

გთუნის ცნობადობის და რეპუტაციის ამაღლება

ცხრილი N2

სტრატეგიული ამოცანები და ქვეამოცანები	შედეგები ინდიკატორების შესაბამისად	შესრულების რეიტინგი/სტატუსი				მონიტორინგის ჯგუფის კომენტარი
		სრულად შესრულდა	უმეტესად შესრულდა	ნაწილობრივ შესრულდა	არ შესრულდა	
<p>ამოცანა 1. სამეცნიერო საქმიანობის ხარისხის ამაღლება და ინტენსიფიკაცია სამართლის, ბიზნესის ადმინისტრირების და სოციალური მეცნიერებების მიმართულებით</p>						
<p>1.1. სამეცნიერო-კვლევითი პრიორიტეტების განსაზღვრა და წლიური სამეცნიერო თემების დამტკიცება (სტუდენტთა ჩართულობით).</p>	<ul style="list-style-type: none"> - შემუშავდა სამეცნიერო საქმიანობის ორგანიზების წესი, რომელიც აწესრიგებს სამეცნიერო საქმიანობის ორგანიზების პროცედურას, სახეებს, შეფასების წესს; - კათედრების მიერ განსაზღვრული და შესრულებულია წლიური სამეცნიერო თემები, რომელშიც ჩართული იყო აკადემიური პერსონალის თითქმის მთელი შემადგენლობა და სტუდენტები. 	<input checked="" type="checkbox"/>				<p>გეგმით გათვალისწინებული წლიური სამეცნიერო თემები დასრულებულია და წარდგენილია ფაკულტეტების საბჭოსთვის;</p> <p>2017 წლის მონიტორინგის რეკომენდაცია უნდა დაინერგოს წლიური სამეცნიერო თემების ანგარიშების მოსმენა ფაკულტეტის გაერთიანებულ სხდომაზე გათვალისწინებულია</p>
<p>1.2. კვლევების შედეგებისა და კრეატიული მუშაობის კრიტიკული მასის შექმნა, გთუნის სამეცნიერო პოტენციალის რეკლამირება და კვლევის შედეგების შეთავაზება სტუდენტებისა და საზოგადოებისთვის;</p>	<ul style="list-style-type: none"> - სამეცნიერო საქმიანობის ანგარიშში მოცემულია ბიბლიომეტრული მაჩვენებლები, რაც სასწავლო დაწესებულებისთვის საკმაოდ კარგი მაჩვენებელია. თუმცა გთუნის აქვს სერიოზული საბუნი გასაწევი, რათა სამეცნიერო ნაშრომები შესთავაზოს დაინტერესებულ მხარეებს ან მოიპოვოს დაფინანსება. 			<input checked="" type="checkbox"/>		<p>ქვეამოცანა ვერ შესრულდა, ამ მიმართულებით უნდა შემუშავდეს მუშაობის ტაქტიკა, რათა გთუნიმ შეძლოს სამეცნიერო საქმიანობის გაფართოება, დაინტერესებულ მხარეთა ინტერესების გათვალისწინება და დაკვეთების მიღება.</p> <p>კვლევის შედეგების შეთავაზება სტუდენტებისათვის პრაქტიკულად ხდება პროგრამების მეშვეობით, ხოლო</p>

						საზოგადოებისთვის კვლევის შედეგების შეთავაზება გამოიხატება პუბლიკაციების გავრცელებაში ჟურნალების სახით; საკითხი შემდგომ ინტენსიურ მუშაობას საჭიროებს;
1.3. ინტერდისციპლინური პროგრამების გაფართოება.	ინტერდისციპლინური პროგრამების განხორციელება არ მომხდარა				<input checked="" type="checkbox"/>	ეს პროექტი (ქვეამოცანა) არამართებულადაა II სტრატეგიულ მიზანში. ის უნდა გაერთიანდეს I სტრატეგიული მიზნის 1.4-თან, პროგრამების დივერსიფიკაციის კონტექსტში
1.4. საერთაშორისო კვლევებში თანამშრომლობის პროგრამის გაძლიერება.	გთუნი ჯერ-ჯერობით არ არის ჩართული საერთაშორისო კვლევით პროექტებში.				<input checked="" type="checkbox"/>	გასააქტიურებელია თანამშრომლობა EURAC, Aiest ორგანიზაციებთან დადებული ხელშეკრულებების ფარგლებში. მოსაძიებელია სხვა ორგანიზაციებიც.

ამოცანა 2. საერთაშორისო პუბლიკაციების წამახალისებელი პროექტების შემუშავება

2.1. კვლევის შედეგების გამოქვეყნების სტიმულირება და ხელშეწყობა ავტორიტეტულ (მათ შორის იმპაქტ ფაქტორის) ჟურნალებში; კვლევების გამოქვეყნებამდე და გამოქვეყნებისათვის გასაწევ საქმიანობათა ჩატარება;	გთუნი გეგმავს დააფინანსოს პუბლიკაციები იმპაქტ ფაქტორის ჟურნალებში 2018 წლიდან. მანამდე, აკადემიური პერსონალის გამოკითხვა ადასტურებს, რომ მათთვის პუბლიკაციის თანხის გადახდა რთულია.				<input checked="" type="checkbox"/>	იმპაქტ ფაქტორის ჟურნალებში დაბალია საჭიროა გთუნის მხრიდან მეტი მხარდაჭერა როგორც ფინანსურად, ისე კონსულტაციებით
2.2. ინტელექტუალური საკუთრების დაცვისა და მართვის ღონისძიებების გატარება.					<input checked="" type="checkbox"/>	ინტელექტუალური საკუთრების დაცვის პროცესი ჯერ არ დაწყებულა, თუმცა ქვეამოცანის არსებობის აუცილებლობა გადასახედია, რადგან პლაგიატის აღმოჩენისა და მასზე რეაგირების პროგრამების ამოქმედება მთლი საქართველოს მასშტაბით, ისე გთუნიში გარკვეულწილად მოაწესრიგებს ამ პრობლემას.

ამოცანა 3. სამეცნიერო აქტივობების მენეჯმენტის ხარისხის გაუმჯობესება

<p>3.1. თანამშრომელთა და სტუდენტთათვის სამეცნიერო ფორუმების, კოლოქვიუმების, სემინარების ჩატარების ორგანიზება;</p>	<p>ჩატარდა სტუდენტური IX (ყოველწლიური) კონფერენცია, რომელშიც, მონაწილეობა მიიღო 58 სტუდენტმა. კონფერენციაში ჩართულნი იყვნენ ყველა პროგრამის სტუდენტები; დაიბეჭდა სტუდენტთა მოსხენებების კონფერენციის თეზისები.</p>	<input checked="" type="checkbox"/>				<p>სტუდენტური კონფერენციები ყოველწლიურად ტარდება, თუმცა სასურველია კონფერენციაზე წარდგენილი თემების ხარისხი საჭიროებს გაუმჯობესებას, განსაკუთრებულ ყურადღებას მოითხოვს გამოყენებული წყაროების მითითება. აღნიშნულს ძალზე შეუწყობს ხელს პლაგიატის პროგრამის ამოქმედება</p>
<p>3.2. საერთაშორისო მასშტაბის ღონისძიებებში (სამეცნიერო ფესტივალები, გამოფენები და სხვა) მონაწილეობა.</p>	<p>- გთუნიმ მონაწილეობა მიიღო საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ ორგანიზებულ მეორე სამეცნიერო ფესტივალში.</p>	<input checked="" type="checkbox"/>				<p>გთუნის აკადემიური პერსონალის საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიებებში მონაწილეობის მაჩვენებელი დამაკმაყოფილებელია, ამის მიუხედავად, სასურველია ამ მიმართულებით სამუშაოები უფრო ეფექტურად გაგრძელდეს.</p>
<p>3.3. ადგილობრივი და საერთაშორისო საგრანტო კონკურსების შესახებ ინფორმაციის მოძიება და ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა. სამეცნიერო ფონდებთან მუშაობის გააქტიურება.</p>	<p>ადგილობრივი და საერთაშორისო საგრანტო კონკურსების შესახებ ინფორმაცია გაზიარებულია აკადემიური პერსონალისთვის, თუმცა საგრანტო განაცხადები არ მომზადებულა.</p>				<input checked="" type="checkbox"/>	<p>სამუშაოები მიმდინარეობს მონიტორინგის ჯგუფს მიაჩნია, რომ ზოგადად II სტრატეგიული მიზნის განხორციელების ამოცანები და ქვეამოცანები/ მექანიზმები მეტისმეტად დეტალიზებულია, რაც ართულებს მათ შეფასებას</p>
<p>3.4. მნიშვნელოვან ელექტრონულ ბაზებთან წვდომის უზრუნველყოფა.</p>	<p>ჯერ-ჯერობით გთუნის აქვს წვდომა მიმდინარეობს EBSCO -ს ელექტრონულ ბაზებზე; მამოყენების სტატისტიკა გაზრდილია; ამ მიმართულებით ტრენონგები პერიოდულად ტარდება</p>	<input checked="" type="checkbox"/>				<p>EBSCO -ს ბაზაზე წვდომა უზრუნველყოფილია და გამოყენების სტატისტიკაც გაზრდილია. ამასთან, ინდივიდუალურ ინტერვიუებში სტუდენტთა ნაწილმა აღნიშნა, რომ არ ფლობს ინფორმაციას და იყენებს EBSCO -ს.</p>

III სტრატეგიული მიზანი : ინსტიტუციური ინტერნაციონალიზაციის გაღრმავება და შემდგომი განვითარება.

ცხრილი N3

სტრატეგიული ამოცანები და ქვეამოცანები	ინდიკატორი/შედეგი	შესრულების რეიტინგი/სტატუსი				მონიტორინგის ჯგუფის კომენტარი
		სრულად შესრულდა	უმეტესად შესრულდა	ნაწილობრივ შესრულდა	არ შესრულდა	
ამოცანა 1.საერთაშორისო საუნივერსიტეტო სივრცეში გთუნის ცნობადობის და ავტორიტეტის ამაღლება ინტერნაციონალიზაციის მეშვეობით						
1.1. ინტერნაციონალიზაციის კონტექსტუალიზაცია გთუნის სპეციფიკის და განვითარების სტრატეგიის კონტექსტში; ეფექტიანი ღონისძიებების დასახვა-განხორციელება, საერთაშორისო საუნივერსიტეტო სივრცეში გთუნის ცნობადობის და ავტორიტეტის ამაღლების მიზნით.	<p>ურთიერთთანამშრომლობა კონტექსტუალიზებულია გთუნის პროფილთან, ბიზნესის ადმინისტრირების და ტურიზმის პარალელურად გაჩნდა შესაძლებლობები სამართლის ფაკულტეტის ჩართვის საერთაშორისო პროექტებში, კერძოდ, Erasmus+KA1-ში მონაწილეობა ალსტერის (ირლანდია) უნივერსიტეტთან ერთად</p> <p>კვლავ პრობლემურია ჟურნალისტიკის, ფსიქოლოგიის სპეციალობების ჩართვა ამ პროექტებში</p>	<input checked="" type="checkbox"/>				<p>გამოიკვეთა ურთიერთთანამშრომლობის დარგობრივი მიმართულებები დადებულია ინდივიდუალური ხელშეკრულება Erasmus+KA1 (2018-2020) ბიზნესისა და სოციალური მეცნიერებების 10 სტუდენტს და სამართლის სპეციალობის 4 სტუდენტს აქვთ Erasmus+KA1 პროგრამაში მონაწილეობის შესაძლებლობა.</p> <p>უნდა გაძლიერდეს ძალისხმევა სხვა სპეციალობების ჩართვისათვის ინტერნაციონალიზაციის პროცესში.</p>
1.2. საერთაშორისო კავშირების თანმიმდევრული განახლება-გაფართოება-გაღრმავება, გთუნისთვის პრიორიტეტული ქვეყნების/უნივერსიტეტების შერჩევით.	გაფორმდა ხელშეკრულება ინგოლშტატის (გერმანია) უნივერსიტეტთან, რომლის ტურიზმის მენეჯმენტის მაგისტრები გთუნში გაივლიან ტრეინინგ კურსებს Module: Sustainable Destination Management (Sustainable Destination Development; ETIS -		<input checked="" type="checkbox"/>			გაფორმდა ხელშეკრულება ინგოლშტატის (გერმანია) უნივერსიტეტთან, რომლის ტურიზმის მენეჯმენტის მაგისტრები გთუნში გაივლიან ტრეინინგ კურსებს: Module: Sustainable Destination Management (Sustainable Destination Development; ETIS -


	<p>European Tourism Indicator System for Evaluation of Destination Sustainability:</p> <p>Module: Cross-Cultural Business Communication (Dimensions of Cross Cultural Communication; Intercultural Competence in Interpersonal Communication)</p> <p>Module: Modern Media and Society (Mass Communication as whole System; New Media and Impact on Society).</p> <p>სამართლის ფაკულტეტიზე დაწყებულია მუშაობა უცხოურენოვანი (30 კრედიტიანი) მოდულის მომზადებაზე</p>					<p>European Tourism Indicator System for Evaluation of Destination Sustainability:</p> <p>Module: Cross-Cultural Business Communication (Dimensions of Cross Cultural Communication; Intercultural Competence in Interpersonal Communication)</p> <p>სამართლის ფაკულტეტიზე დაწყებულია მუშაობა უცხოურენოვანი (30 კრედიტიანი) მოდულის მომზადებაზე იკვეთება თანამშრომლობის შესაძლებლობები პეჩის (უნგრეთი), უნივერსიტეტთან</p>
1.3. არსებულ პარტნიორებთან თანამშრომლობის ასპექტების აქტუალიზაცია.	ურთიერთთანამშრომლობა გრძელდება, თუმცა პარტნიორ უნივერსიტეტებთან სასურველია განახლდეს თანამშრომლობის პირობები			<input checked="" type="checkbox"/>		არსებულ პარტნიორებთან თანამშრომლობის ასპექტების აქტუალიზაციის კუთხით პროცესი მიმდინარეობს. რუმცა ურთიერთთანამშრომლობის აქტუალიზაცია საჭიროებს მეტ დაფინანსებას, მივლინებებს, მოწვევებს, რაც უფრო ინტენსიურად უნდა განხორციელდეს 2019 წლიდან.
1.4. ბენჩმარკინგი - პარტნიორი უნივერსიტეტების საუკეთესო პრაქტიკის ასახვა და გამოყენება საგანმანათლებლო პროგრამებში და სწავლის მეთოდებში.	შედარებითი ანალიზი ტარდება სისტემატურად, თუმცა ძირითადად ვებგვერდების ანალიზით და პირადი კონტაქტების მეშვეობით			<input checked="" type="checkbox"/>		სასურველი პარტნიორ უნივერსიტეტების წარმომადგენლების მოწვევა და გთუნის თანამშრომელთა მივლინება, რათა პროგრამებში უკეთ აისახოს პარტნიორი უნივერსიტეტების“ საუკეთესო პრაქტიკა“;
1.5. მეცნიერების თანამედროვე მიღწევების, ტრენდების, ხედვების შესახებ ინფორმაციის გაზიარების ღონისძიებების სისტემატური გატარება.	საკათედრო სემინარების და საინფორმაციო შეხვედრების დროს ხდება მეცნიერების თანამედროვე მიღწევების, ტრენდების, ხედვების შესახებ ინფორმაციის ურთიერთ-გაზიარება	<input checked="" type="checkbox"/>				მეცნიერების თანამედროვე მიღწევების, ტრენდების, ხედვების შესახებ ინფორმაციის გაზიარება ხდება საკათედრო სემინარებზე, თუმცა საჭიროა ამ მიმართულებით კათედრების მუშაობის გაძლიერება და სამეცნიერო მივლინებების მეტად უზრუნველყოფა
1.6. აკადემიური მობილობის ზრდის ხელშეწყობა; საერთაშორისო კონფერენციებში, სტაჟირებებში,	აკადემიური პერსონალი მონა-წილეობს საერთაშორისო კონფერენციებში,			<input checked="" type="checkbox"/>		გთუნის პერსონალი საკმაოდ აქტიურად არის ჩართული საერთაშორისო კონფერენციებში, სტაჟირებებში, სემინარებში, ტრენინგებში,

<p>სემინარებსა და ტრენინგებში გთუნის აკადემიური პერსონალის მონაწილეობის ხელშეწყობა.</p>	<p>სტაჟირებებში, სემინარებსა და ტრენინგებში; საანგარიშო პერიოდში საზღვარგერო ჩატარებულ კონფერენციებში მონაწილეობა მიიღო 9 პროფესორმა; საერთაშორისო საგრანტო პროექტების ფარგლებში საზღვარგარეთ ჩატარებულ ტრენინგებში მონაწილეობდა 14 პროფესორი (დეტალური ინფორმაცია იხ. სამეცნიერო საქმიანობის ანგარიშში)</p>				<p>თუმცა აღნიშნული აქტივობები ხორციელდება Erasmus+ ფარგლებში, მიმწვევი მხარის დაფინანსებით, გთუნის მიერ დაფინანსებით ან თანადაფინანსებით</p> <p>გთუნის ძალისხმევა და ფინანსური მხარდაჭერა ამ მიმართულებით უნდა გაძლიერდეს</p>
<p>1.7. აქტივობების ზრდა საერთაშორისო პროექტებში, პროგრამებში, საგანმანათლებლო და სამეცნიერო ასოციაციებში მაქსიმალურად ჩართვისათვის;</p>	<p>აკადემიური პერსონალი არის ავტორუტეტული საერთაშორისო სამეცნიერო ასოციაციის/საზოგადოებულ ასოციაციების წევრი; სარედაქციო კოლეგიების/საბჭოების წევრი; გთუნი გეგმავს უნივერსიტეტების ევროპულ ასოციაციებში გასწევრიანებას</p>		<input checked="" type="checkbox"/>		<p>გთუნის აკადემიური პერსონალის წარმომადგენლები არიან სხვადასხვა პრესტიჟული საერთაშორისო ასოციაციის წევრები, გთუნი აფინანსებს AIEST ასოციაციაში წევრობას.</p> <p>გთუნი არ არის არც ერთი საერთაშორისო ასოციაციის წევრი, პროცესი ჯერ არ დაწყებულია</p>
<p>1.8. უცხოელი პედაგოგების, მეცნიერების, ექსპერტების მეტი ჩართვის უზრუნველყოფა გთუნის საქმიანობაში;</p>	<p>უცხოელი სპეციალისტების ჩართულობა გთუნის საქმიანობაში საკმაოდ მაღალია. იხ. I სტრატეგიული მიზნის მე-4 ამოცანის 1.8. პუნქტი.</p>		<input checked="" type="checkbox"/>		<p>უცხოელი სპეციალისტები კითხულობენ ლექციებს, ატარებენ ტრენინგებს სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალისთვის;</p> <p>საჭიროა უცხოელ მეცნიერთა მეტი ჩართვის უზრუნველყოფა გთუნის საქმიანობაში.</p>
<p>1.9. თანამშრომელთა მიერ უცხოური ენის შესწავლის და კვალიფიკაციის ამაღლების ყოველმხრივი წახალისება, ხელშეწყობა.</p>	<p>უცხო ენების ცენტრის და ტრენინგისა და კონსალტინგის ცენტრის ხელმძღვანელობით განხორციელდა ინგლისური ენის კურსი დამწყებთათვის დამხმარე პერსონალის ჩატარების 12 წარმომადგენლისთვის</p>		<input checked="" type="checkbox"/>		<p>უცხო ენების ცენტრის და ტრენინგისა და კონსალტინგის ცენტრის ხელმძღვანელობით განხორციელდა ინგლისური ენის კურსი დამწყებთათვის დამხმარე პერსონალის ჩატარების 12 წარმომადგენლისთვის.</p> <p>თანამშრომელთა მიერ უცხოური ენის შესწავლის და კვალიფიკაციის ამაღლების მოტივაცია გაზრდილია</p>

ამოცანა 2. სტუდენტთა მომზადება აქტიურობისთვის გლობალიზებულ გარემოში

<p>2.1. სტუდენტების მობილობის ზრდის ხელშეწყობა Erasmus+KA1 და სხვა შესაძლებლობების გამოყენებით; - უნივერსიტეტებთან ხელშეკრულებების გაფორმება Erasmus+ KA1 გაცვლით პროგრამებში სტუდენტთა მონაწილეობის მიზნით.</p>	<p>Erasmus+ ხელშეკრულებები</p>	<input checked="" type="checkbox"/>				<p>2018 წელს გთუნის 4 სტუდენტი იმყოფებოდა ინჰოლანდის უნივერსიტეტში, (როტერდამის ბიზნესის, სამართლის და ფონანსების ფაკულტეტი)</p>
<p>2.2. სტუდენტთა კურიკულუმს გარე აქტივობების მეტი ინტერნაციონალიზაციის ტაქტიკის შემუშავება და განხორციელება; ა. სტუდენტთა მოკლევადიანი სასწავლო, კულტურულ-შემეცნებითი, სამეცნიერო გაცვლის პრობების შექმნა.</p>	<p>სტუდენტებისთვის კურიკულუმს გარე აქტივობების მრავალი ღონისძიება იქნა შეთავაზებული, რაც მათგან თანადაფინანსებას მოითხოვს. სამწუხაროდ, თანადაფინანსების პირობა სტუდენტებისთვის ხელსაყ-რელი არ არის.</p>			<input checked="" type="checkbox"/>		<p>სტუდენტებისთვის კურიკულუმს გარე აქტივობების მრავალი ღონისძიება იქნა შეთავაზებული, რაც მათგან თანადაფინანსებას მოითხოვს. სამწუხაროდ, თანადაფინანსების პირობა სტუდენტებისთვის ხელსაყრელი არ არის.</p>
<p>2.3. ინგლისური ენის სწავლების და სწავლის მეთოდების, ხერხების, შედეგზე ორიენტირებისა და ეფექტიანობის გაანალიზება; მეტი ეფექტიანი ღონისძიების გატარება სტუდენტთა მოტივირებისა და ენის ცოდნის ხარისხის გაუმჯობესებისათვის.</p>	<p>გთუნი აფინანსებს ინგლისური ენის ჯგუფებს Elementary და Bigginer დონეებს, რომელიც შედგება იმ სტუდენტებისაგან, რომელთაც სხვა უცხოური ენა ჩააბარეს ერთიან ეროვნულ გამოცდებზე და სურვილი აქვთ შეისწავლონ ინგლისური ენა. ასევე იმ სტუდენტებს, რომლებმაც მართალია გადალახეს ბარიერი ერთიან ეროვნულ გამოცდაზე, მაგრამ გამოთქვამენ სურვილს ინგლისური სწავლა დაიწყონ საწყისი დონიდან, რომელტათვისაც უნივერსიტეტი ქმნის ცალკე ჯგუფებს.</p>			<input checked="" type="checkbox"/>		<p>უცხო ენების ცენტრი მუშაობს ამ მიმართულებით, სისტემატურად განიხილება სწავლის შედეგების მიღწევის პრობლემები;</p> <p>უცხო ენების ცენტრი მიიჩნევს, რომ უნდა გაიზარდოს კვირეული საათების რაოდენობა უცხოურ ენაში და ის უნდა ისწავლებოდეს მინიმუმ 3 წელი, ამ მიზნით გთუნი აფინანსებს ინგლისური ენის ჯგუფებს Elementary და Bigginer დონეებს, შესაბამისად სტუდენტები 3 დამატებით ერთი წლის განმავლობაში სწავლობენ ინგლისურ ენას.</p> <p>სხვა ენების (გერმანული, რუსული) შესაწავლის მოთხოვნა სტუდენტებს არ აქვთ</p>
<p>ამოცანა 3. უცხოურენოვანი, მათ შორის ერთობლივი პროგრამების მომზადება და უცხოელი სტუდენტების მოზიდვის ტაქტიკის შემუშავება</p>						
<p>3.1. უცხოურენოვანი მოთხოვნადი პროგრამების გამოვლენა; პროგრამის/პროგრამების მომზადების დაწყება.</p>	<p>ახალ აკრედიტებულ პროგრამებში შეტანილია უცხოურენოვანი მოდულები.</p>			<input checked="" type="checkbox"/>		<p>ახალ აკრედიტებულ პროგრამებში შეტანილია უცხოურენოვანი მოდულები, რაც პროგრამების შექმნის წინაპირობაა პროცესი დაწყებულია.</p>

<p>3.2. უცხოელ სტუდენტთა მოზიდვის სტრატეგიის შემუშავების საერთაშორისო სტუდენტების მომსახურების ტაქტიკის შემუშავება.</p>	<p>სტრატეგია შემუშავებულია</p>			<input checked="" type="checkbox"/>	<p>სტრატეგია შემუშავებულია, თუმცა უცხოელ სტუდენტთა არსებობა გთუნში დამოკიდებულია უცხოურენოვანი პროგრამების არსებობაზე, პროცესი დაწყებულია და მის წინაპირობას წარმოადგენს უცხოურენოვანი მოდულების ჩართვა ზოგიერთ საგანმანათლებლო პროგრამაში</p>
---	--------------------------------	--	--	-------------------------------------	--



IV სტრატეგიული მიზანი: ინსტიტუციური მდგრადობის უზრუნველყოფა და კონკურენტუნარიანობის ზრდა

ცხრილი N4

სტრატეგიული ამოცანები და ქვეამოცანები	ინდიკატორი/შედეგი	შესრულების რეიტინგი/სტატუსი				მონიტორინგის ჯგუფის კომენტარი
		სრულად შესრულდა	უმეტესად შესრულდა	ნაწილობრივ შესრულდა	არ შესრულდა	
ამოცანა 1. ფინანსური მდგრადობის უზრუნველყოფა						
1.1. სტუდენტთა კონტიგენტის განსაზღვრის მეთოდოლოგიის შემუშავება, დანერგვა.	მეთოდოლოგია შემუშავებული და დამტკიცებულია	<input checked="" type="checkbox"/>				მეთოდოლოგია შემუშავებული და დამტკიცებულია
1.2. ბიუჯეტის, როგორც დაგეგმარების ინსტრუმენტის გამოყენება გთუნის სისტემის ფარგლებში; ბიუჯეტირების პროცესის გადასინჯვა და გაუმჯობესება; ყოველწლიური ბიუჯეტის დაგეგმვა 2017-2023 წლების სტრატეგიის განსაზღვრულ საბიუჯეტო მოთხოვნებზე ორიენტირებით.	ბიუჯეტის დაგეგმვა განხორციელდა სტრატეგიული განვითარების გეგმის გათვალისწინებით.			<input checked="" type="checkbox"/>		ბიუჯეტის დაგეგმვა მართალია ითვალისწინებს სტრატეგიული განვითარების ძირითად მიმართულებებს, თუმცა მონიტორინგის პროცესმა დაგვარწმუნა, რომ ის მეტად უნდა იყოს დეტალიზებული და ბიუჯეტში უნდა ჩანდეს თითოეული მიზნის და ცალკეულ შემთხვევაში, ამოცანის განხორციელებისთვის გამოყოფილი სახსრები, მეორე მხრივ, ბიუჯეტის დაგეგმვის პროცესმა წარმოაჩინა თავად სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმის ხარვეზები, რომლებიც ბევრ ამოცანას და ქვეამოცანას მოიცავს და რომელთა შორის ხშირია თანხვედრა, რამაც ასევე გაართულა ბიუჯეტის გაწერა მათ შესაბამისად.

					აღნიშნულის საფუძველზე, მონიტორინგის ჯგუფის რეკომენდაციაა შემუსავდეს ახალი სტრატეგიული გეგმა მკაფიოდ და ოპტიმალურად გაწერილი ამოცანებითა და ქვეამოცანებით.
1.3. ბიზნესუწყვეტობის გეგმის შემუშავება, დანერგვა, განხორციელება; ყოველწლიური დაგეგმარებიდან გრძელვადიანი დაგეგმარების მოდელზე გადასვლა.	ბიზნესუწყვეტობის გეგმა შემუშავებულია და განხორციელება	<input checked="" type="checkbox"/>			ბიზნესუწყვეტობის გეგმა შემუშავებულია და ხორციელდება; დოკუმენტის შექმნამ ხელი შეუწყო რისკების, მათი პრევენციის, ბიზნესუწყვეტობის მიმართ გთუნის დამოკიდებულებების გადახედვას და ამ მიმართულებით რიგი ღონისძიების დაგეგმვას.
1.4. შიდა და საგარეო აქტივობების რეალური ხარჯების იდენტიფიცირება; ad-hoc გადაწყვეტილებების მინიმუმაცია და არაეფექტიანი ხარჯების შემცირება.	შიდა და საგარეო აქტივობები ითვალისწინებს სტრატეგიულ პრიორიტეტებს		<input checked="" type="checkbox"/>		ბიუჯეტი ითვალისწინებს შიდა და საგარეო აქტივობებს, სტრუქტურული ერთეულების მოთხოვნებს, თუმცა კვლავ საჭიროებს დახვეწას
1.5. ბიუჯეტის შაბლონებისა და ფინანსური დაგეგმარების მომზადება გთუნის სტრუქტურული ერთეულების მოთხოვნების შესასრულებლად, ყოველწლიური ბიუჯეტების დროული წარდგენის ხელშესაწყობად.	სტრუქტურული ერთეულების მოთხოვნები გათვალისწინებული ბიუჯეტში		<input checked="" type="checkbox"/>		
1.6. ბიუჯეტის წარდგენა უნივერსიტეტის საზოგადოებისთვის იმ სტრუქტურების მიერ, რომლებიც იღებენ გადაწყვეტილებას უნივერსიტეტის ბიუჯეტის გამოყოფა-განკარგვის თაობაზე ან გავლენას ახდენენ მასზე.	მოთხოვნები წარდგენილია დროულად				
1.7. ყოველწლიური ფინანსური ანგარიშის მომზადება - წარდგენა.	ფინანსური ანგარიში	<input checked="" type="checkbox"/>			ფინანსური დირექტორი ანგარიშს წარუდგენს პარტნიორთა კრებას, აკადემიურ საბჭოს. ფინანსური ანგარიში საჭიროებს მეტ საჯაროობას
ამოცანა 2. ფანდრაიზინგი- შემოსავლების ზრდა და საწარმოო კულტურის დანერგვა					
2.1. გთუნის ფინანსური წყაროების გამრავალფეროვნების ტაქტიკის შემუშავება; გთუნის ძალისხმევის გაზრდა გარე ფინანსური რესურსების/ფონდების მოძიებისთვის;.	მოზიდულია გარე ფინანსური რესურსები			<input checked="" type="checkbox"/>	სხვა წყაროს წარმოადგენს არენდის თანხა (წლიური 80000 ლ.) ფანდრაიზინგის პროცესი არ დაწყებულია

<p>2.2. კურსდამთავრებულებთან და მეგობრებთან მუშაობა მათი გავლენის სფეროებში დონორების მოსაზიდად; არაერთჯერადი მხარდაჭერის მოპოვება გთუნის კურსდამთავრებულთა და მეგობრების მხრიდან.</p>	<p>-----</p>				<input checked="" type="checkbox"/>	<p>პროცესი არ დაწყებულა.</p>
<p>2.3. გთუნის ინტელექტუალური საკუთრების კომერციალიზაციის შესაძლებლობათა კვლევა; სათანადო ბიზნეს მამოძრავებლებისა და მიდგომების განსაზღვრა გთუნისთვის.</p>						
<p>2.4. ისეთი სამართლებრივი გარემოს შექმნა, რომელიც იძლევა რესურსების წარმოქმნისაკენ მიმართული სტრატეგიული ინიციატივებისა და სამოქმედო გეგმების დანერგვისა და განხორციელების საშუალებას.</p>						

ამოცანა 3. საკადრო მდგრადობის უზრუნველყოფა

<p>3.1. ადამიანური რესურსების კვალიფიკაციის ზრდის ხელშეწყობა და ყოველმხრივი წახალისება.</p>	<p>აკადემიური პერსონალი მონა-წილეობს კვალიფიკაციის ამაღლების ღონისძიებებში, როგორც გთუნში, ისე საქართველოს სხვადასხვა ორგანიზაციაში და საზღვარგარეთ.</p> <p>საანგარიშო პერიოდში 6 პროფესორმა აიმაღლა კვალიფიკაცია სხვადასხვა ორგანიზაციის (დეტალურად იხ. სამეცნიერო საქმიანობის ანგარიშში), ასევე, მათ ეძლევათ ერთი ანაზღაურებადი „საბიბლიოთეკო დღე“ თვითგანვითარებისათვის</p>		<input checked="" type="checkbox"/>			<p>აკადემიური პედრონალის დენადობა არ ფიქსირდება (უმნიშვნელოა) „საბიბლიოთეკო დღე“ აკადემიური პერსონალის თვითგანვითარებისათვის კარგი პრაქტიკაა, თუმცა კვალიფიკაციის ამაღლების ღონისძიებები საჭიროებს მეტ დაფინანსებას. სასურველია „საბიბლიოთეკო დღეს“ დაერქვას „აკადემიური შვებულება“, რომლის ოდენობა განისაზღვრება 45 დღით. (აღნიშნული არ გულისხმობს კუთვნილ შვებულებას). ამასთან, მხარდაჭერის აღნიშნული მექანიზმი უნდა გავრცელდეს მხოლოდ აფილირებულ პერსონალზე, რომელსა შეეძლება ამ რეებით ისარგებლოს დერთდროულად, ან ყოველ სასწავლო კვირაში თითო დღით,</p>
<p>3.2. გთუნის ორგანიზაციული ეფექტიანობის მაქსიმიზება, თანამშრომელთა ფუნქციების, მოვალეობების მკაფიოდ გამიჯვნა და ჩამოყალიბება, სამუშაო აღწერილობების დახვეწა.</p>	<p>სტრუქტურული ერთეულების თანამშრომელთა ფუნქციები, მოვალეობები მკაფიოდაა გამიჯნული და ჩამოყალიბებული, სამუშაო აღწერილობები შემუშავებულია.</p>	<input checked="" type="checkbox"/>				<p>სტრუქტურული ერთეულების დებულებები შემუშავებულია, ფუნქციები გამოჯნული და მკაფიოდ განსაზღვრული სამუშაო აღწერილობები შემუშავებულია, თუმცა სასურველია ფორმა დაიხვეწოს</p>

3.3. თანამშრომელთა კმაყოფილების სისტემატური კვლევა, მათი მოთხოვნების, საჭიროებების, პრობლემების შექმნისდაგვარად დაკმაყოფილება.	გამოკითხვის შედეგები		<input checked="" type="checkbox"/>		გამოკითხვის შედეგებით დასტურდება, რომ თანამშრომელთა 85% კმაყოფილია გთუნში მუშაობით
3.4. თანამშრომელთა ანგარიშვალდებულებების წესისა და ფორმის გაუმჯობესება; თანამშრომელთა წახალისების წესების განახლება.	თანამშრომელთა წახალისების ფორმები წესრიგდება შინაგანაწესით		<input checked="" type="checkbox"/>		შემუშავებულია პერსონალის მართვის სტრატეგიის დოკუმენტი, რაც აწესრიგებს თანამშრომელთა ანგარიშვალდებულების წესს. ამ წესით თანამშრომლები შეფასდებიან 2018 წლიდან. ამასთან პერსონალის მართვის სტრატეგია გადასახედია და რადგან უფრო მეტად ორიენტირებულია აკადემიურ პერსონალზე.
3.5. თანამშრომელთა უზრუნველყოფა საუნივერსიტეტო სერვისების ხელმისაწვდომობით (სამედიცინო დაზღვევა, ექიმის მომსახურება, უფასო ტრანსფერი და სხვა)	საუნივერსიტეტო სერვისების ხელმისაწვდომია პერსონალისთვის მოწვეული თანამშრომლები სარგებლობენ გარკვეული სერვისებით	<input checked="" type="checkbox"/>			

ამოცანა 4. მენეჯმენტის ეფექტიანობის და მდგრადობის უზრუნველყოფა შედეგზე და მიღწევებზე ორიენტირებული, თანამშრომლობითი და ტრანსფორმირებადი ადმინისტრირებით

4.1. ბენჩმარკინგი: ევროპის მაღალრეიტინგული უნივერსიტეტების საუკეთესო გამოცდილების შესწავლა-გაზიარება; უნივერსიტეტის იმიჯის წინწაწევის, სტუდენტების მოზიდვის ეფექტიანი სტრატეგიების შემუშავება და განხორციელება; ცვლილებების მენეჯმენტი, რისკების ანალიზი და მართვა.	ევროპის მაღალრეიტინგული უნივერსიტეტების საუკეთესო გამოცდილების შესახებ ინფორმაციის გაზიარება ხდება საკათედრო ღონისძიებებზე. უნივერსიტეტის იმიჯის წინწაწევისა და სტუდენტების მოზიდვისთვის გადადგმულია გარკვეული ნაბიჯები, შეთავაზებები უნივერსიტეტის მხრიდან, პრომოაქციები და სხვა.		<input checked="" type="checkbox"/>		გთუნი სწავლობს და იზიარებს ევროპის უნივერსიტეტების გამოცდილებას მენეჯმენტის მიმართულებით, ამასთან: უნდა გაძლიერდეს უნივერსიტეტის იმიჯის წინწაწევის ღონისძიებები; უნდა გაუმჯობესდეს სტუდენტების მოზიდვის სტრატეგიები; ყურადღება გამახვილდეს ცვლილებების მენეჯმენტზე.
4.2. გთუნის თანამშრომლობის ქსელის გაფართოვება მენეჯმენტის მიმართულებით.	თანამშრომლობა მენეჯმენტის მიმართულებით ხორციელდება ადგილობრივ უნივერსიტეტებთან ურთიერთობებით.		<input checked="" type="checkbox"/>		

ამოცანა 5. საუნივერსიტეტო გარემოს მდგრადობის უზრუნველყოფა. სტრატეგიულად ორიენტირებული ფიზიკური გარემოს შემდგომი განვითარება-განახლება

<p>5.1. სწავლება-სწავლის, სამეცნიერო საქმიანობისა და ჯანსაღი სტუდენტური ცხოვრებისათვის თანამედროვე და კომფორტული გარემოს შემდგომი განვითარება; აღჭურვილობის განახლება-გამდიდრება პედაგოგიური, სამეცნიერო და შემოქმედებითი საქმიანობის მხარდაჭერისა და გაფართოებისათვის.</p>	<p>- შექმნილია და ვითარდება თანამედროვე და კომფორტული გარემო, ინფრასტრუქტურა</p>	<p align="center"><input checked="" type="checkbox"/></p>			<p>სწავლება-სწავლის, სამეცნიერო საქმიანობისა და ჯანსაღი სტუდენტური ცხოვრებისათვის არსებობს თანამედროვე და კომფორტული გარემო; ხდება ინფრასტრუქტურის განახლება-გამდიდრება. პროცესი და ბიუჯეტი მუდმივ განვითარებას ითვალისწინებს</p>
<p>5.2. ბიბლიოთეკის ფონდის განახლება-გამდიდრება და სერვისების გაუმჯობესება.</p>	<p>ბიბლიოთეკის ფონდის განახლება-გამდიდრება სისტემატურად მიმდინარეობს (იხ. ბიბლიოთეკის ანგარიშში), უმჯობესდება და სერვისები.</p>	<p align="center"><input checked="" type="checkbox"/></p>			<p>ფონდის განახლება სისტემატურად მიმდინარეობს. რაც დეტალურადაა აღწერილი ბიბლიოთეკის ხელმძღვანელის ანგარიშში; პროცესი და ბიუჯეტი მუდმივ განვითარებას ითვალისწინებს</p>
<p>5.3. საუნივერსიტეტო ფიზიკური გარემოს დაცულობის და უსაფრთხოების უზრუნველყოფა და შემდგომი განვითარება და ანგარიშგება; საუნივერსიტეტო საზოგადოების ინსტრუქტირების ღონისძიებების გატარება უსაფრთხოების საკითხებზე.</p>	<p>დაცვისა და უსაფრთხოების წესები არსებობს, თუმცა საჭიროა სტუდენტთა და პერსონალის მეტი ინფორმირება აღნიშნულთან დაკავშირებით.</p>	<p align="center"><input checked="" type="checkbox"/></p>			<p>გთუნიში არსებობს დაცვისა და უსაფრთხოების სამსახური, წესები საჭიროა თანამშრომლები და სტუდენტები უკეთ იცნობდნენ მათ, რისთვისაც უნდა ჩატარდეს საინფორმაციო შეხვედრები; უნდა განახლდეს სახანძრო უსაფრთხოების მექანიზმები</p>
<p>5.4. სტუდენტთა გუნდური მუშაობისთვის არეალების შემდგომი განვითარება; სარეკრეაციო არეალების შემდგომი განვითარება; სტუდენტური სერვისების შემდგომი განახლება- განვითარება.</p>	<p>გთუნიში არსებობს სტუდენტთა გუნდური მუშაობისთვის გამოყოფილი არეალები, სარეკრეაციო არეალები სტუდენტური სერვისები მრავალფეროვანია.</p>	<p align="center"><input checked="" type="checkbox"/></p>			<p>გთუნიში შეიქმნა არეალები სტუდენტთა გუნდური მუშაობისთვის, სარეკრეაციო არეალები ზოგადად, სტუდენტური სერვისების განვითარების პროცესი და ბიუჯეტირების პროცესი მუდმივ განვითარებას ითვალისწინებს</p>
<p>5.5. საუნივერსიტეტო გარემოს ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა და პირობების გაუმჯობესება სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების პირთათვის.</p>	<p>გარემო ნაწილობრივ ადაპტირებულია</p>	<p align="center"><input checked="" type="checkbox"/></p>			<p>ადაპტირებული გარემო საჭიროებს გაუმჯობესებას, შშმ სტუდენტის ინკლუზიისთვის სასწავლო პროცესში აუცილებელია ლიფტის არსებობა.</p>

ამოცანა 6. მდგრადი საზოგადოებრივი სტატუსის მოპოვება : გთუნის როლის ზრდა საზოგადოების ტრანსფორმაციასა და განვითარებაში სწავლა სიცოცხლის ბოლომდე კონტექსტში

<p>6.1. ტრენინგებისა და კონსალტინგის ორგანიზება კერძო და საჯარო სამართლის, ფინანსების, მენეჯმენტის, მარკეტინგის, ტურიზმის, ჟურნალისტიკის და ფსიქოლოგიის მიმართულებებით.</p> <ul style="list-style-type: none"> ▪ საჯარო ლექციების ციკლის, მასტერ-კლასების, ვორქშოპების ჩატარება ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების და საზოგადოების წარმომადგენელთათვის. ▪ კონსულტაციები დასაქმების მსურველთათვის ბიზნეს გეგმის შედგენასა და მართვაში 2019-იდან ▪ საინფორმაციო ტექნოლოგიების მოკლე კურსი დასაქმების მსურველთათვის; ინგლისური ენის მოკლე კურსი დასაქმების მსურველთათვის. ▪ უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა საზოგადოების დაინტერესებულ პირთათვის. ▪ გარემოს მდგრადი განვითარების, დაცვის, ღონისძიებების აქტიური პოპულარიზაცია და ინფორმაციის გავრცელება ▪ საქველმოქმედო ღონისძიებებში ჩართვა და/ან მათი ორგანიზება. ▪ იურიდიული კოსულტაციები საზოგადოების დაინტერესებულ პირთათვის. ▪ ტრენინგებისა და კონსალტინგის ორგანიზება კერძო და საჯარო სამართლის, ფინანსების, მენეჯმენტის, მარკეტინგის, ტურიზმის, ჟურნალისტიკის და ფსიქოლოგიის მიმართულებებით. 	<p>ტრენინგისა და კონსალტინგის ცენტრის შექმნა წარმოადგენს საზოგადოების სხვადასხვა სეგმენტისთვის კურსების მომზადებისა და შეთავაზების საფუძველს.</p> <p>კათედრების ჩართულობით დაწყებული დაგეგმილი ღონისძიებების განხორციელების პროცესი.</p>				<input checked="" type="checkbox"/>	<p align="center">პროცესი დაწყებულია</p> <p>საზოგადოების განვითარებაში გთუნის შეუძლია წვლილის შეტანა , რაც საჭიროებს 6.1. პუნქტში მოცემული ქვემოცანების განხორციელებას</p> <p>კათედრებმა ამ მიმართულებებით უნდა გააძლიერონ აქტივობები იმისათვის, რომ გთუნიმ მოიპოვოს მდგრადი საზოგადოებრივი სტატუსი</p>
---	--	--	--	--	-------------------------------------	---

2018 წლის სამოქმედო გეგმის მონიტორინგის ჯგუფის დასკვნები და რეკომენდაციები

I სტრატეგიული მიზანი: ინტელექტუალური საქმიანობა და მისი სრულყოფა განათლების ყველა ასპექტის ხარისხის გაუმჯობესებით

მონიტორინგის ჯგუფი მიიჩნევს, რომ სტრატეგიული განვითარების გეგმით განსაზღვრული I სტრატეგიული მიზანი, რაც ითვალისწინებს გთუნის დისციპლინირებულ ინტელექტუალურ საქმიანობას და მის სრულყოფას განათლების ყველა ასპექტის ხარისხის გაუმჯობესებით, კვლავ რელევანტურია მიმდინარე მოთხოვნებისა და პრობლემების გათვალისწინებით. თუმცა სასურველია, რომ ის ფორმულირებული იყოს უფრო ნათლად და კონკრეტულად და მეტად შეესაბამებოდეს ავტორზაციის სტანდარტების მოთხოვნებს.

ამ სტრატეგიული მიზნის განსახორციელებლად შემუშავებულია 7 ამოცანა და 34 ქვეამოცანა. მონიტორინგით დადგინდა, რომ ქვეამოცანების 41%-სრულად შესრულდა, 53%-უმეტესად შესრულდა, 3%-ნაწილობრივ შესრულდა, 3%-არ შესრულდა. აღნიშნულის საფუძველზე, შეიძლება დავასკვნათ, რომ I სტრატეგიული მიზნით 2018 წლისთვის განსაზღვრული ამოცანები ძირითადად შესრულებულია.

რეკომენდაციები:

1. 2017 წლის კვლევებში დომინირებდა დომინირებდა მეორადი კვლევები; მონიტორინგის ჯგუფის რეკომენდაცია კვლევა განხორციელებულიყო დამსაქმებლების მეტი ჩართულობით გათვალისწინებულია.
2. ბენჩმარკინგი მეტად უნდა ჩანდეს პროგრამებში, რაც გათვალისწინებული უნდა იყოს ავტორზაციისთვის წარსადგენ პროგრამებში.
3. პროგრამების დივერსიფიკაცია მიზანშეწონილად ჩაითვალა, რომ განხორციელდეს 2019 წლიდან; მას შემდეგ, რაც გაივლის პროგრამულ აკრედიტაციას და ავტორიზაციას.
4. საკონკურსო კრიტერიუმებში სავალდებულო უნდა გახდეს უცხოური ენის (უპირატესად ინგლისურის) ცოდნა
5. აკადემიური პერსონალის განახლებული ანგარიშვალდებულები გაიწერა „პერსონალის მართვის სტრატეგიაში“, ამ ნორმებით შეფასება დაიწყება 2018 წლიდან.
6. სასურველია პერსონალის მართვის სტრატეგია განახლდეს, მასში შევიდეს სამეცნიერო საქმიანობის შეფასებაც;
7. დასახვეწია საათობრივი ანაზღაურებით მოწვევის წესი, რაც უნდა მოხდეს კონკურსის წესით.
8. 2019 წლის სამოქმედო გეგმაში სასურველია ქვეამოცანა ჩამოყალიბდეს ლაკონურად (მაგალითად, მენტორინგის პრაქტიკა)
9. ზოგიერთი კოლეგის აზრით, ქვეამოცანის ფორმულირება დისკრიმინაციულია. ამიტომ 2019 წლის გეგმაში 2.3. და 2.4. გაერთიანდეს სხვა ფორმულირებით.
10. სილაბუსების ანალიზი, ასევე ურთიერთდასწრების შედეგები ცხადყოფს, რომ სწავლა-სწავლების მეთოდები საჭიროებს მოდერნიზაციას, ჯერ კიდევ იკვეთება სწავლების მეთოდების ერთფეროვნება; მეტი ყურადღება უნდა მიექცეს განმავითარებელ შეფასებას ელექტრონული კურსების შექმნა დაწყებულია, თუმცა ამ კუთხით მუშაობა გასააქტიურებელია.
11. ჩატარდა 6 მეთოდური სემინარი/ტრენინგი, რომელსაც დაესწრო პერსონალის 80%. მონაწილეებს დაურიგდათ ჰენდაუტები, ელექტრონულად გადაეგზავნათ ტრენინგის მასალები; აქტივობები უნდა გაგრძელდეს მეტი უცხოელი სპეციალისტის ჩართვით.
12. გთუნის პერსონალი მუშაობს დატვირთვის ოპტიმალური ნორმების და გთუნში მოქმედი წესის შესაბამისად.

13. განახლებული კრიტერიუმებით პედაგოგიური საქმიანობის შეფასებაში კიდევ უფრო აქტიურად იქნა გამოყენებული თანადასწრების და გამოცდილების გაზიარების პრაქტიკა, საუკეთესო მოდელები განიხილება კათედრების სხდომებზე.
14. პედაგოგთა სტიმულირების ფორმების და კრიტერიუმების ინსტიტუციური მოდელის შემუშავება-დახვეწის და წლის საუკეთესო პედაგოგის გამოვლენის პროცესი ჯერ არ დაწყებულა, რთულია საუკეთესო მოდელის კრიტერიუმების განსაზღვრა და შესაბამისად სრულიად ობიექტური სურათის მიღება. შესაბამისად, სასურველია 2019 წლის სამოქმედო გეგმიდან ეს ქვეამოცანა ამოღებულ იქნეს.
15. სტუდენტთა მხარდაჭერის მექანიზმები შემუშავებული და გამრავალფეროვნებულია, თუმცა აკადემიური მიღწევების ზრდის პოზიტიური დინამიკა არ გამოიკვეთა. რაც ნიშნავს, რომ ძალისხმევა ამ მიმართულებით გასააქტიურებელია. 2018-ში პარტნიორი კომპანიების სახელით არ გაცემულ სტიპენდიები, რისი მიზნებიც შესწავლას საჭიროებს. 2019 წლის სამოქმედო გეგმა მეტად უნდა იყოს ფოკუსირებული აკადემიური მხარდაჭერის მექანიზმებზე.
16. სტუდენტთა მოტივირებისთვის შეიძინონ ცხოვრებისეული გაკვეთილები ჩვენი ქვეყნისა და ზოგადად მსოფლიოს გამოცდილებიდან გთუნამ ჩაატარა რიგი ღონისძიება; თუმცა, სასურველია კიდევ უფრო გაიზარდოს საზოგადოებრივი და შემეცნებითი აქტივობები გთუნის მხრიდან, რაც შესაბამისად გაზრდის ამ აქტივობებში ჩართულ სტუდენტთა რაოდენობას; ინიციატივებმა და აქტივობებმა წინა წლებთან შედარებით იკლო, მიუხედავად იმისა, რომ გთუნი მხარს უჭერს ამ ინიციატივებსა და აქტივობებს; საჭიროა სტუდენტთა მოტივირება ამ აქტივობებისათვის.
17. გამოკითხვებით სტუდენტები აფიქსირებენ მათთან კომუნიკაციით კმაყოფილებას, თუმცა ჩაღრმავებული ინტერვიუს ან სპონტანური გამოკითხვის დროს მქდავანდება, რომ რიგ საკითხზე ინფორმაციას არ ფლობენ. შესაბამისად საჭიროა მათთან უფრო ეფექტური კომუნიკაცია, მაგალითად SMS შეტყობინებების, სოციალური მედიის, ფორუმების და ა.შ. მეტი ჩართვით;
18. სასწავლო ინკუბატორებში ინფრასტრუქტურული და პროგრამული გადახალისების პროცესი დაწყებულია. თუმცა საკითხი კვლავ აქტუალურია
19. 2018 წელს გაფორმდა 21 მემორანდუმი/ხელშეკრულება ინჰოლანდის უნივერსიტეტთან 2018-2020 წწ. ხორციელდება Erasmus+ პროგრამა; ალსტერის უნივერსიტეტთან 2018-2020 წწ. ხორციელდება Erasmus+ პროგრამა; ერთობლივი პროგრამის მომზადების პროცესი დაგეგმილია 2019 წლის ავტორიზაციის შემდეგ;
20. მიუხედავად ჩატარებული ღონისძიებებისა საჭიროა კურსების, ტრენინგების, მასტერ-კლასების ორგანიზების სტუდენტთა განათლების დივერსიფიცირების, ელექტრონული სწავლების ფორმების მაქსიმალურად გამოყენების. მიმართულების გაძლიერებისთვის საუნივერსიტეტო ბიუჯეტის გაზრდა და მეტი სპეციალისტის მოწვევა; ღონისძიებებში მონაწილეობს სტუდენტთა საკმაოდ შეზღუდული რაოდენობა, ზოგჯერ ბენეფიციარები ერთი და იგივე სტუდენტები არიან, რაც აიხსნება ინგლისური ენის ცოდნის არასათანადო დონით, აღნიშნული 2019 წლის სამოქმედო გეგმაში დამოუკიდებელ ამოცანად უნდა ჩამოყალიბდეს.
21. სტიპენდიების მინიჭების წესი ღია და საჯაროა
22. კარიერული მხარდაჭერის ღონისძიებები უნდა გააქტიურდეს; მეტი შეხვედრა უნდა მოეწყოს რეალურ სექტორთან.საერთაშორისო პროექტებში ჩართვის მსურველი სტუდენტების რიცხვი მაღალი არ არის, რასაც თავად ხსნიან ინგლისური ენის ცოდნის დაბალი დონით.
23. 4.11. ქვეამოცანა დაკონკრეტებულია, თუმცა ფაქტობრივად რამდენიმე ამოცანას მოიცავს, 2019 წლის სამოქმედო გეგმაში ეს ქვეამოცანა უნდა ცალ-ცალკე დაიყოს, რაც გაამარტივებს მის გაზომვას.

24. ადაპტირებული გარემოს ხარისხის გაუმჯობესების პროცესი დაწყებულია სსსმ და შშმპ სტუდენტებისთვის შემუშავდა მხარდაჭერის მექანიზმები, რაც მეტად უნდა იყოს ცნობილი ამ კატეგორიის სტუდენტთათვის; მხარდაჭერის ღონისძიებები უნდა გაძლიერდეს მოწყვლადი ჯგუფის სტუდენტთათვის.
25. სტუდენტური თვითმმართველობის ინიციატივები მხარდაჭერილია.
26. სტუდენტთა და კურსდამთავრებულებთან ურთიერთობის განყოფილების ანგარიშში დეტალურად არის მოცემული დასაქმების მაჩვენებლები პროგრამების მიხედვით; გამოყოფილია სპეციალობით დასაქმებულთა რაოდენობა; მიუხედავად იმისა, რომ დასაქმების საერთო მაჩვენებელი დამაკმაყოფილებელია, სპეციალობით დასაქმების მაჩვენებელი საჭიროებს გაუმჯობესებას, უმეტესად ბაკალავრიატის კურსდამთავრებულთა შორის.
27. დამსაქმებლებთან კომუნიკაცია უფრო საგნობრივი და ქმედითი უნდა გახდეს დამსაქმებელთა მოთხოვნების კვლევა უნდა გააქტიურდეს, ხოლო კვლევის შედეგები მეტად გათვალისწინებულ იქნეს პროგრამებში. სტუდენტთა დასაქმების ხელშემწყობი ღონისძიებები მეტი რეგულარობით უნდა ჩატარდეს. დამსაქმებელთა საკმაოდ დიდი ქსელის არსებობის მიუხედავად, მათთან კონსულტაციები ზოგჯერ რეალური შედეგის მომტანი არ არის; გამოკითხვების ანალიზით ჩანს, რომ ისინი კვალიფიკაციის დეფიციტზე აკეთებენ აქცენტს, თუმცა ჩაღრმავების შემთხვევაში დეფიციტს მხოლოდ ინგლისური და რუსული ენების ცოდნას უკავშირებენ.
28. კურსდამთავრებულებთან ინტენსიური და ნაყოფიერი კომუნიკაციის უზრუნველყოფის საკითხი 2017 წლის შემდეგ არ გაუმჯობესებულა. კურსდამთავრებულთა ასოციაცია პასიურია და არ არის აქტიურად ჩართული გთუნის საქმიანობაში, რაც საჭიროებს მეტ ძალისხმევას და განახლებული ტაქტიკის შემუშავებას.
29. კურსების მომზადება გრძელდება, რაც მეტად იქნება ორიენტორებული საზოგადოების მოთხოვნებზე (მაგ. კომპიუტერული წიგნიერება, ინგლისური ენა, ბიზნეს-გეგმის შედგენა, CV შედგენა და სხვა); კვლავ ვერ მოხერხდა მათი კომერციალიზაცია, ამ მიმართულებით მუშაობა გრძელდება მომზადდა 3 ინგლისურენოვანი მოდული (6 კურსი) გთუნის მიზიდველობის გაზრდისათვის უცხოელი სტუდენტებისთვის; მცდელობა წარმატებული აღმოჩნდა, რადგან კურსები წარმატებით გაიარეს გერმანიის ინგოლშტატის უნივერსიტეტის ტურიზმის მენეჯმენტის მაგისტრებმა. საკონსულტაციო მომსახურება გაეწია კერძო სექტორს; სახელმწიფო სექტორისა და არასამთავრობო ორგანიზაციებისთვის კონსულტაციები არ ჩატარებულა, რადგან მათთვის შეთავაზებები ჩამოყალიბებული ჯერ-ჯერობით არ არის
30. ვერ მოხდა გთუნის, როგორც ზრდასრულთა განათლებისა და კომპეტენციების ცენტრის სათანადო რელამირება და პროგრამები კომერციალიზაცია.
31. ორგანიზაციული სტრუქტურა უზრუნველყოფს მისიის და სატრატეგიული მიზნების განხორციელებას; ფუნქციები და პასუხისმგებლობები გამიჯნულია, უნდა მოხდეს გთუნის სამუშაო აღწერილობის დოკუმენტების დახვეწა
32. საჭიროა მეტი ტრენინგები ადმინისტრაციული ერთეულების ხელმძღვანელებისათვის.

II სტრატეგიული მიზანი: კვლევის, ნოვაციებისა და კრეატიულობის ყოველმხრივი მხარდაჭერა, გთუნის ცნობადობის და რეპუტაციის ამაღლება

სტრატეგიული განვითარების გეგმით განსაზღვრული II სტრატეგიული მიზანი ითვალისწინებს კვლევის, ნოვაციებისა და კრეატიულობის ყოველმხრივ მხარდაჭერას, აგრეთვე გთუნის ცნობადობისა და რეპუტაციის ამაღლებას. ამ სტრატეგიული მიზნის განსახორციელებლად შემუშავებულია 3 ამოცანა და 10 ქვეამოცანა. მონიტორინგის ჯგუფი მიიჩნევს, რომ დამოუკიდებელ სტრატეგიულ მიზნად კვლევის, ნოვაციებისა და კრეატიულობის ყოველმხრივი მხარდაჭერა სასწავლო უნივერსიტეტისთვის ამბიციური მიზანია და ის უნდა იყოს განხილული საგანმანათლებლო პროცესთან ერთიანობაში.

მონიტორინგით დადგინდა, რომ ქვეამოცანების 20%-სრულად შესრულდა, 20%-უმეტესად შესრულდა, 20%-ნაწილობრივ შესრულდა, 40%-არ შესრულდა. აღნიშნულის საფუძველზე, შეიძლება დავასკვნათ, რომ II სტრატეგიული მიზნით 2018 წლისთვის განსაზღვრული ამოცანები ნაწილობრივ შესრულებულია.

რეკომენდაციები:

1. გეგმით გათვალისწინებული წლიური სამეცნიერო თემები დასრულებულია და წარდგენილია ფაკულტეტების საბჭოსთვის; 2017 წლის მონიტორინგის რეკომენდაცია უნდა დაინერგოს წლიური სამეცნიერო თემების ანგარიშების მოსმენა ფაკულტეტის გაერთიანებულ სხდომაზე გათვალისწინებულია
2. 1.2. ქვეამოცანა ვერ შესრულდა, ამ მიმართულებით უნდა შემუშავდეს მუშაობის ტაქტიკა, რათა გთუნიმ შეძლოს სამეცნიერო საქმიანობის გაფართოება, დაინტერესებულ მხარეთა ინტერესების გათვალისწინება და დაკვეთების მიღება. კვლევის შედეგების შეთავაზება სტუდენტებისათვის ხდება პროგრამების მეშვეობით, საზოგადოებისთვის კვლევის შედეგების შეთავაზება გამოიხატება პუბლიკაციების გავრცელებაში ჟურნალების სახით, საკითხი შემდგომ ინტენსიურ მუშაობას საჭიროებს;
3. 1.3. ქვეამოცანა, რაც ეხება ინტერდისციპლინური პროგრამების გაფართოებას, არამართებულადაა II სტრატეგიულ მიზანში. ის უნდა გაერთიანდეს I სტრატეგიული მიზნის 1.4-თან, პროგრამების დივერსიფიკაციის კონტექსტში.
4. გასააქტიურებელია თანამშრომლობა EURAC, AIEST ორგანიზაციებთან დადებული ხელშეკრულებების ფარგლებში მოსამიებელია სხვა ორგანიზაციებთან
5. იმპაქტ ფაქტორის ჟურნალებში დაბალია საჭიროა გთუნის მხრიდან მეტი მხარდაჭერა როგორც ფინანსურად, ისე კონსულტაციებით
6. ინტელექტუალური საკუთრების დაცვის პროცესი ჯერ არ დაწყებულა, თუმცა ქვეამოცანის არსებობის აუცილებლობა გადასახედია, რადგან პლაგიატის აღმოჩენისა და მასზე რეაგირების პროგრამების ამოქმედება მთლიან საქართველოს მასშტაბით, ისე გთუნში გარკვეულწილად მოაწესრიგებს ამ საკითხს.
7. სტუდენტური კონფერენციები ყოველწლიურად ტარდება, თუმცა სასურველია კონფერენციაზე წარდგენილი თემების ხარისხი საჭიროებს გაუმჯობესებას, განსაკუთრებულ ყურადღებას მოითხოვს გამოყენებული წყაროების მითითება. აღნიშნულს ძალზე შეუწყობს ხელს პლაგიატის პროგრამის ამოქმედება
8. გთუნის აკადემიური პერსონალის სართაშორისო სამეცნიერო ღონისძიებებში მონაწილეობის მაჩვენებელი დამაკმაყოფილებელია, ამის მიუხედავად, სასურველია ამ მიმართულებით სამუშაოები უფრო ეფექტურად გაგრძელდეს.

9. ადგილობრივი და საერთაშორისო საგრანტო კონკურსების შესახებ ინფორმაციის მოძიებასა და აკადემიური პერსონალის ინფორმირებასთან დაკავშირებით სამუშაოები მიმდინარეობს, თუმცა სამეცნიერო ფონდებთან მუშაობა გასააქტიურებელია. მონიტორინგის ჯგუფს მიაჩნია, რომ ზოგადად II სტრატეგიული მიზნის განხორციელების ამოცანები და ქვეამოცანები/ მექანიზმები მეტისმეტად დეტალიზებულია, რაც ართულებს მათ შეფასებას
10. EBSCO -ს ბაზაზე წვდომა უზრუნველყოფილია და გამოყენების სტატისტიკაც გაზრდილია. ამასთან, ინდივიდუალურ ინტერვიუებში სტუდენტთა ნაწილმა აღნიშნა, რომ არ ფლობს ინფორმაციას და არ იყენებს EBSCO -ს.

III სტრატეგიული მიზანი: ინსტიტუციური ინტერნაციონალიზაციის გაღრმავება და შემდგომი განვითარება

სტრატეგიული განვითარების გეგმით განსაზღვრული III სტრატეგიული მიზანი ითვალსწინებს ინსტიტუციური ინტერნაციონალიზაციის გაღრმავებასა და შემდგომ განვითარებას. ამ სტრატეგიული მიზნის განსახორციელებლად შემუშავებულია 3 ამოცანა და მათი შესაბამისი 14 ქვეამოცანა.

მონიტორინგით დადგინდა, რომ ქვეამოცანების 21%-სრულად შესრულდა, 43%-უმეტესად შესრულდა, 36 %-ნაწილობრივ შესრულდა, 0%-არ შესრულდა. აღნიშნულის საფუძველზე, შეიძლება დავასკვნათ, რომ III სტრატეგიული მიზნით 2018 წლისთვის განსაზღვრული ამოცანები უმეტესად შესრულებულია.

რეკომენდაციები:

1. გამოიკვეთა ურთიერთანამშრომლობის დარგობრივი მიმართულებები დადებულია ინდივიდუალური ხელშეკრულება Erasmus+KA1 (2018-2020) ბიზნესისა და სოციალური მეცნიერებების 10 სტუდენტს და სამართლის სპეციალობის 4 სტუდენტს აქვთ Erasmus+KA1 პროგრამაში მონაწილეობის შესაძლებლობა უნდა გაძლიერდეს ძალისხმევა სხვა სპეციალობების ჩართვისათვის ინტერნაციონალიზაციის პროცესში.
2. გაფორმდა ხელშეკრულება ინგოლშტატის (გერმანია) უნივერსიტეტთან, რომლის ტურიზმის მენეჯმენტის მაგისტრები გთუნში გაივლიან ტრეინინგ კურსებს Module: Sustainable Destination Management (Sustainable Destination Development; ETIS -European Tourism Indicator System for Evaluation of Destination Sustainability; Module: Cross-Cultural Business Communication (Dimensions of Cross Cultural Communication; Intercultural Competence in Interpersonal Communication). სამართლის ფაკულტეტზე დაწყებულია მუშაობა უცხოურენოვანი (30 კრედიტანი) მოდულის მომზადებაზე. იკვეთება თანამშრომლობის შესაძლებლობები პეჩის (უნგრეთი), უნივერსიტეტთან.
3. არსებულ პარტნიორებთან თანამშრომლობის ასპექტების აქტუალიზაციის კუთხით პროცესი მიმდინარეობს. თუმცა ურთიერთთანამშრომლობის აქტუალიზაცია საჭიროებს მეტ დაფინანსებას, მივლინებებს, მოწვევებს, რაც უფრო ინტენსიურად უნდა განხორციელდეს 2019 წლიდან.
4. სასურველი პარტნიორ უნივერსიტეტების წარმომადგენლების მოწვევა და გთუნის თანამშრომელთა მივლინება, რათა საუნივერსიტეტო საქმიანობაში უკეთ აისახოს პარტნიორი უნივერსიტეტების“ საუკეთესო პრაქტიკა“;
5. მეცნიერების თანამედროვე მიღწევების, ტრენდების, ხედვების შესახებ ინფორმაციის გაზიარება ხდება საკათედრო სემინარებზე, თუმცა საჭიროა ამ მიმართულებით კათედრების მუშაობის გაძლიერება და სამეცნიერო მივლინებების მეტად უზრუნველყოფა

6. გთუნის პერსონალი საკმაოდ აქტიურად არის ჩართული საერთაშორისო კონფერენციებში, სტაჟირებებში, სემინარებში, ტრენინგებში, თუმცა აღნიშნული აქტივობები ხორციელდება Erasmus+ ფარგლებში, მიმწვევი მხარის დაფინანსებით, გთუნის მიერ დაფინანსებით ან თანადაფინანსებით. გთუნის ძალისხმევა და ფინანსური მხარდაჭერა ამ მიმართულებით უნდა გაძლიერდეს
7. გთუნის აკადემიური პერსონალის წარმომადგენლები არიან სხვადასხვა პრესტიჟული საერთაშორისო ასოციაციის წევრები, გთუნი აფინანსებს AIEST ასოციაციაში წევრობას. გთუნი არ არის არც ერთი საერთაშორისო ასოციაციის წევრი, პროცესი ჯერ არ დაწყებულა
8. უცხოელი სპეციალისტები კითხულობენ ლექციებს, ატარებენ ტრენინგებს სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალისთვის; საჭიროა უცხოელ მეცნიერთა მეტი ჩართვის უზრუნველყოფა გთუნის საქმიანობაში.
9. უცხო ენების ცენტრის და ტრენინგისა და კონსალტინგის ცენტრის ხელმძღვანელობით განხორციელდა ინგლისური ენის კურსი დამწყებთათვის დამხმარე პერსონალის ჩატარების 12 წარმომადგენლისთვის. თანამშრომელთა მიერ უცხოური ენის შესწავლის და კვალიფიკაციის ამაღლების მოტივაცია გაზრდილია.
10. 2018 წელს გთუნის 4 სტუდენტი Erasmus + მობილობით იმყოფებოდა ინჰოლანდის უნივერსიტეტში, როტერდამის ბიზნესის, სამართლის და ფინანსების ფაკულტეტზე (ნიდერლანდები).
11. სტუდენტებისთვის კურიკულუმს გარე აქტივობების მრავალი ღონისძიება იქნა შეთავაზებული, რაც მათგან თანადაფინანსებას მოითხოვს. სამწუხაროდ, თანადაფინანსების პირობა სტუდენტებისთვის ხელსაყრელი არ არის.
12. უცხო ენების ცენტრი მუშაობს ამ მიმართულებით, სისტემატურად განიხილება სწავლის შედეგების მიღწევის პრობლემები; უცხო ენების ცენტრი მიიჩნევს, რომ უნდა გაიზარდოს კვირეული საათების რაოდენობა უცხოურ ენაში და ის უნდა ისწავლებოდეს მინიმუმ 3 წელი, ამ მიზნით გთუნი აფინანსებს ინგლისური ენის ჯგუფებს Elementary და Bigginer დონეებს, შესაბამისად სტუდენტები დამატებით ერთი წლის განმავლობაში სწავლობენ ინგლისურ ენას. სხვა ენების (გერმანული, რუსული) შესწავლის მოთხოვნა სტუდენტებს არ აქვთ.
სულ ამ კატეგორიის სტუდენტთა რაოდენობაა
13. ახალ აკრედიტებულ პროგრამებში შეტანილია უცხოურენოვანი მოდულები, რაც პროგრამების შექმნის წინაპირობაა, პროცესი დაწყებულია.
14. სტრატეგია შემუშავებულია, თუმცა უცხოელ სტუდენტთა არსებობა გთუნიში დამოკიდებულია უცხოურენოვანი პროგრამების არსებობაზე, პროცესი დაწყებულია და მის წინაპირობას წარმოადგენს უცხოურენოვანი მოდულების ჩართვა ზოგიერთ საგანმანათლებლო პროგრამაში.

IV სტრატეგიულ მიზანი: ინსტიტუციური მდგრადობის უზრუნველყოფა და კონკურენტუნარიანობის ზრდა

სტრატეგიული განვითარების გეგმით განსაზღვრული IV სტრატეგიული მიზანი ითვალისწინებს ინსტიტუციური მდგრადობის უზრუნველყოფას და კონკურენტუნარიანობის ზრდას, რომლის მისაღწევად შემუშავებულია 6 ამოცანა და მათი შესაბამისი 24 ქვეამოცანა/შესრულების მექანიზმი.

მონიტორინგით დადგინდა, რომ ქვეამოცანების 30 %-სრულად შესრულდა, 25%-უმეტესად შესრულდა, 25%-ნაწილობრივ შესრულდა, 20%-არ შესრულდა. აღნიშნულის საფუძველზე, შეიძლება დავასკვნათ, რომ IV სტრატეგიული მიზნით 2017 წლისთვის განსაზღვრული ამოცანები უმეტესად შესრულებულია.

რეკომენდაციები:

1. ბიუჯეტის დაგეგმვა მართალია ითვალისწინებს სტრატეგიული განვითარების ძირითად მიმართულებებს, თუმცა მონიტორინგის პროცესმა დაგვარწმუნა, რომ ის მეტად უნდა იყოს დეტალიზებული და ბიუჯეტში უნდა ჩანდეს თითოეული მიზნის და ცალკეულ შემთხვევაში, ამოცანის განხორციელებისთვის გამოყოფილი სახსრები, მეორე მხრივ, ბიუჯეტის დაგეგმვის პროცესმა წარმოაჩინა თავად სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმის ხარვეზები, რომლებიც ბევრ ამოცანას და ქვეამოცანას მოიცავს და რომელთა შორის ხშირია თანხვედრა, რამაც ასევე გაართულა ბიუჯეტის გაწერა მათ შესაბამისად. აღნიშნულის საფუძველზე, მონიტორინგის ჯგუფის რეკომენდაციაა შემუშავდეს ახალი სტრატეგიული გეგმა მკაფიოდ და ოპტიმალურად გაწერილი ამოცანებითა და ქვეამოცანებით.
2. ბიზნესუწყვეტობის გეგმა შემუშავებულია და და ხორციელდება; დოკუმენტის შექმნამ ხელი შეუწყო რისკების, მათი პრევენციის, ბიზნესუწყვეტობის მიმართ გთუნის დამოკიდებულებების გადახედვას და ამ მიმართულებით რიგი ღონისძიების დაგეგმვას.
3. ბიუჯეტი ითვალისწინებს შიდა და საგარეო აქტივობებს, სტრუქტურული ერთეულების მოთხოვნებს, თუმცა კვლავ საჭიროებს დახვეწას
4. ფინანსური დირექტორი ანგარიშს წარუდგენს პარტნიორთა კრებას, აკადემიურ საბჭოს. ფინანსური ანგარიში საჭიროებს მეტ საჯაროობას
5. სხვა წყაროს წარმოადგენს არენდის თანხა (წლიური 80000 ლ.), ფანდრაიზინგის პროცესი კვლავ არ დაწყებულა.
6. აკადემიური პერსონალის დენადობას ადგილი არ აქვს. „საბიბლიოთეკო დღე“ აკადემიური პერსონალის თვითგანვითარებისათვის კარგი პრაქტიკაა, სასურველია „საბიბლიოთეკო დღეს“ დაერქვას „აკადემიური შვებულება“, რომლის ოდენობა განისაზღვრება 45 დღით. (აღნიშნული არ გულისხმობს კუთვნილ შვებულებას). ამასთან, მხარდაჭერის აღნიშნული მექანიზმი უნდა გავრცელდეს მხოლოდ ავილირებულ პერსონალზე, რომელსაც შეეძლება ამ დღეებით ისარგებლოს ერთდროულად, ან ყოველ სასწავლო კვირაში თითო დღით,
7. სტრუქტურული ერთეულების დებულებები შემუშავებულია, ფუნქციები გამოჯნული და მკაფიოდ განსაზღვრული. სამუშაო აღწერილობები შემუშავებულია, თუმცა სასურველია ფორმა დაიხვეწოს
8. გამოკითხვის შედეგებით დასტურდება, რომ თანამშრომელთა 85% კმაყოფილია გთუნში მუშაობით
9. შემუშავებულია პერსონალის მართვის სტრატეგიის დოკუმენტი, რაც აწესრიგებს თანამშრომელთა ანგარიშვალდებულების წესს. ამ წესით თანამშრომლები შეფასდებიან 2018 წლიდან. ამასთან პერსონალის მართვის სტრატეგია გადასახედია, რადგან უფრო მეტად ორიენტირებულია აკადემიურ პერსონალზე, შედარებით ნაკლებად ადმინისტრაციულ და დამხმარე პერსონალზე.
10. გთუნი სწავლობს და იზიარებს ევროპის უნივერსიტეტების გამოცდილებას მენეჯმენტის მიმართულებით, ამასთან: უნდა გაძლიერდეს უნივერსიტეტის იმიჯის წინააწევის ღონისძიებები; უნდა გაუმჯობესდეს სტუდენტების მოზიდვის სტრატეგიები; ყურადღება გამახვილდეს ცვლილებების მენეჯმენტზე.

11. სწავლება-სწავლის, სამეცნიერო საქმიანობისა და ჯანსაღი სტუდენტური ცხოვრებისათვის არსებობს თანამედროვე და კომფორტული გარემო; ხდება ინფრასტრუქტურის განახლება. პროცესი და ბიუჯეტი მუდმივ განვითარებას ითვალისწინებს
12. ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდის, ისევე როგორც ელექტრონული რესურსების განახლება სისტემატურად მიმდინარეობს, რაც დეტალურადაა აღწერილი ბიბლიოთეკის ხელმძღვანელის ანგარიშში; პროცესი და ბიუჯეტი მუდმივ განვითარებას ითვალისწინებს
13. გთუნიში არსებობს დაცვისა და უსაფრთხოების სამსახური, წესები საჭიროა თანამშრომლები და სტუდენტები უკეთ იცნობდნენ მათ, რისთვისაც უნდა ჩატარდეს საინფორმაციო შეხვედრები; უნდა განახლდეს სახანძრო უსაფრთხოების მექანიზმები
14. გთუნიში შეიქმნა არეალები სტუდენტთა გუნდური მუშაობისთვის, სარეკრეაციო არეალები ზოგადად, სტუდენტური სერვისების განვითარების პროცესი და ბიუჯეტირების პროცესი მუდმივ განვითარებას ითვალისწინებს
15. ადაპტირებული გარემო საჭიროებს გაუმჯობესებას, შშმ სტუდენტის ინკლუზიისთვის სასწავლო პროცესში აუცილებელია ლიფტის არსებობა.
16. საზოგადოების განვითარებაში გთუნის შეუძლია წვლილის შეტანისთვის დაგეგმილია და ხორციელდება ღონისძიებები. პროცესი დაწყებულია. კათედრებმა უნდა გააძლიერონ აქტივობები იმისათვის, რომ გთუნიმ მოიპოვოს მდგრადი საზოგადოებრივი სტატუსი.

2018 წლის სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ამოცანების /ქვეამოცანების შესრულების საერთო სურათი

სტრატეგიული მიზნის შესაბამისი ამოცანები და ქვეამოცანები		სრულად შესრულდა		უმეტესად შესრულდა		ნაწილობრივ შესრულდა		არ შესრულდა	
		2017	2018	2017	2018	2017	2018	2017	2018
I სტრატეგიული მიზანი	ქვეამოცანა	26%	41%	52%	53%	14%	3%	7%	3%
	ამოცანების შესრულების სტატუსი								
II სტრატეგიული მიზანი	ქვეამოცანა	20%		21.4%	20%	28.6%	20%	35.7%	40%
	ამოცანების შესრულების სტატუსი								
III სტრატეგიული მიზანი	ქვეამოცანა	21.4%	21%	28.6%	43%	28.6%	36%	21.7	0

	ამოცანების შესრულების სტატუსის								
IV სტრატეგიული მიზანი	ქვეამოცანა	16.7%	30%	41.8%	25%	25%	25%	16.7%	20%
	ამოცანების შესრულების სტატუსის								

მონიტორინგის ჯგუფის ძირითადი დასკვნა-რეკომენდაციები:

2018 წლის, ისევე როგორც 2017 წლის სამოქმედო გეგმის მონიტორინგის შედეგად გამოიკვეთა, რომ 2017-2023 წლების სტრატეგიულ განვითარების გეგმა მოითხოვს რიგ ცვლილებას:

- ✓ სტრატეგიული მიზნები უნდა ჩამოყალიბდეს მკაფიოდ და ლაკონურად;
- ✓ სტრატეგიული ამოცანები ასევე უნდა იყოს მკაფიო და ლაკონური, რათა გახდეს უკეთ გაზომვადი;
- ✓ აღსანიშნავია ქვეამოცანათა სიმრავლე (94), რომელთათვის, მართალია ინდიკატორები განსაზღვრულია, თუმცა მათი შესრულების გაზომვა საკმაოდ რთულია; ქვეამოცანების გარკვეული ნაწილი შინარსობრივად მეორდება ამოცანებისა და/ან სტრატეგიული მიზნის დონეზეც, რაც ასევე ართულებს შესრულების შედეგების გაზომვას;
- ✓ ბიუჯეტის დაგეგმვა მართალია ითვალისწინებს სტრატეგიული განვითარების ძირითად მიმართულებებს, თუმცა მონიტორინგის პროცესმა დაგვარწმუნა, რომ ის უფრო მეტად უნდა იყოს დეტალიზებული და ბიუჯეტში უნდა ჩანდეს თითოეული მიზნის (ცალკეულ შემთხვევაში, ამოცანის) განხორციელებისთვის გამოყოფილი სახსრები, მეორე მხრივ, ბიუჯეტის დაგეგმვის პროცესმა წარმოაჩინა თავად სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმის ხარვეზები, რომლებიც ბევრ ამოცანას და ქვეამოცანას მოიცავს და რომელთა შორის ხშირია თანხვედრა, რამაც ასევე გაართულა ბიუჯეტის გაწერა მათ შესაბამისად;
- ✓ ავტორიზაციის ახალი სტანდარტების ძალაში შესვლამ ასევე წარმოაჩინა, რომ მისია, რომელიც დამტკიცდა 2017-2023 წლის სტრატეგიულ გეგმასთან ერთად, ბოლომდე ვერ პასუხობს ამ სტანდარტებში მოცემული კრიტერიუმებს. შესაბამისად, არსებული მისია საჭიროებს გადახედვას და ცვლილებას.
- ✓ აღნიშნულის საფუძველზე, მონიტორინგის ჯგუფის რეკომენდაციაა შემუშავდეს ახალი სტრატეგიული გეგმა მკაფიოდ და ოპტიმალურად გაწერილი ამოცანებითა და ქვეამოცანებით.